ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 23 მაისი 2001 №93 (1366) | ფასი 50 თეთრი




ოტმარ ჰიცფელდი

# თსუ სამტრედიის მატარებელს გაყვა

თსუ-მ აქამდე არნახული შედეგით გაასრულა სეზონი: თუმცა, წლეულს პირველი დიდი ანგარიშით მოგება გარიცხულთაგან აუდიტორიის კარის გაჯახუნება გამოდგა.

თსუ-ს „იბერია“ უძღოდა: თბილისელთა წინამორბედ „შევარდენის“ მსგავსად ერთ დროს ვიცე-ჩემპიონი.

სამაგიეროდ, საგაისო უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება კვლავ მოიპოვა ოდინდელმავე ვერცხლის პრიზიორმა და თასის მფლობელმა „გურიამ“.

გაისადვე უმაღლესში ითამაშებს კიდევ ერთი თანა-ჩემპიონ ქალაქის გუნდი. ქართული საფეხბურთო რუკიდან შარშან ლანჩხუთში გადაბარგებით გამქრალი „მარგვეთის“ ადგილი ზესტაფონის „მეტალურგმა“ დაიკავა.

ვინ იქნება მეთორმეტე, გორის „დილას“ და მესამე პირველლიგელ წყალტუბოს „სამგურალის“ დავაში 27 მაისს თბილისში „შევარდენის“ სტადიონზე გაირკვევა.

## ალზევდნენ

გურია

მეტალურგი

## დაქვეითდნენ

თსუ

იბერია

იხილეთ მესამე-მეოთხე გვერდები

# თეთრი მეფე და წითელი კაიზერი

*ხომ დიდი უიღბლობაა ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგება, მაგრამ დღეს ერთს ორმაგად არ გაუმართლებს — „ბაიერნიც“ და „ვალენსიაც“ შარშანდელ-შარშანწინდელი დამარცხებული ფინალისტები არიან. ჩემპიონთა თასის 46-წლიან ისტორიაში ასეთი რამ პირველად ხდება. ასევე არასდროს მოუგია ერთ მწვრთნელს თასი ორი სხვადასხვა გუნდით და ოტმარ ჰიცფელდს დღეს ამის შანსი აქვს. დიდი შანსი აქვს დიდიე დეშამპსაც — სამ სხვადასხვა გუნდში არცერთ ფეხბურთელს უზეიმია გამარჯვება.*

*ექტორ რაულ კუპერის შანსზეც ვთქვათ: მესამე და სამართალიო — კუპერმა აქამდე ზედიზედ ორი ფინალი წააგო.*

*დღეს იქნება გახსენებაც და დავიწყებაც: „ბაიერნი“ 70-იანი წლების წითელ ფორმას ჩაიცმევს — იმას, რომლითაც მიუნხენელთა ძველმა თაობამ სამჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი. „ვალენსია“ კი წინა ფინალის ნარინჯისფერ მაისურებს თეთრით შეცვლის.*

*„სან სიროზე“ იქნება ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი, რომელიც „ვალენსიას“ ადრევე დაჰპირდა ფინალში ქომაგობას. გერმანიას კი მეფე არ ჰყავს, თუმცა მიუნხენს ჰყავს თავისი კაიზერი — ფრანც ბეკენბაუერი.*

*და, რა თქმა უნდა, არის მუქარაც.*

*ოტმარ ჰიცფელდი: „გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ“.*

*ექტორ კუპერი: „არასდროს დავნებებულვარ და არც ახლა ვაპირებ“.*

იხილეთ მეექვსე-მეშვიდე გვერდები



ექტორ რაულ კუპერი



გოჩა ჯამარაული

# ჯამარაული არ ვითამაშებ!

## გულნატკენი გოჩა ჩამოდის, მაგრამ სიტყვას არ გადადის

# — ჯანაშია — ვითამაშებ!

ინტერვიუ გოჩა ჯამარაულთან და ზაზა ჯანაშიასთან იხილეთ მეორე გვერდზე



გუშინდელი თსუ — „ბათუმი“ 3:0. გიორგი ბერიანიძე და შალვა აფხაზავა

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 2 ივნისი

## საქართველო — იტალია

# ჯამარა: არა! ჯანაშია: მოვფრინავ!



ზაზა ჯანაშია (მარცხნივ) ნაკრებში თამაშს გეპირდება

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელების მიერ იტალიასთან და უნგრეთთან სათამაშოდ გამოძახებული შემადგენლობა, სადღეისოდ ერთი ფეხბურთელით შემცირდა — შვეიცარიის „ციურიხის" ნახევარმცველმა გოჩა ჯამარაულმა ეროვნულ გუნდში თამაში ამჯერადაც იუარა. იუარა იმის მიუხედავად, რომ 2 ივნისს, იტალიელებთან მატჩის დღეს ის თბილისში იქნება.

— ვარიანტი არ არის, არც ორ ივნისს იტალიის წინააღმდეგ და არც ექვსში, უნგრეთში არ ვითამაშებ — გვითხრა გოჩა ჯამარაულმა გუშინ, როცა შვეიცარიაში დავუკავშირდით. — არ ვითამაშებ, არ მსურს, ამ სიტყვებით, მგონი, ყველაფერია ნათქვამი.

**—ნაკრების მწვრთნელების სიაში ხარ და სხვებსაც ჰგონიათ, რომ იტალიელებთან მაინც ითამაშებ...**

— ხომ ვთქვი, ამის ვარიანტი არ არის. ფეხბურთელისთვის იტალიასთან თამაშს აბა, რა უნდა სჯობდეს, მაგრამ მე ჩემი უკვე ვთქვი.

**— უარის მიზეზებს როდის დააკონკრეტებ?**

— მოვა დრო და დავით ყიფიანს დაველაპარაკები. გაიგეთ ჩემი, ძალიან გულნატკენი ვარ. ქომაგებთან ერთხელაც ვიხდი ბოდიშს, მაგრამ უგულოდ თამაშს მიჯობს, საერთოდ არ ვითამაშო, გინდ იტალია იყოს მეტოქე, გინდ სხვა.

**— ორ ივნისამდე ნაკრების მწვრთნელები და ფედერაციის ხელმძღვანელები ამ თემაზე შენთან ლაპარაკს აპირებდნენ. არ შეგხმიანებიან?**

— მერაბ ჟორდანია ახლა ციურიხშია და ერთ საათში უნდა შევხვდე.

**— მერე?**

— არა მგონია, ნაკრებში დაბრუნებაზე მესაუბროს. ყოველ შემთხვევაში, მე არ მაქვს ამის სურვილი. ამაზე მას ადრეცველაპარაკე.

**— ერთი სიტყვით, იტალიისა და უნგრეთის წინააღმდეგ ჯამარაულის იმედი არ უნდა გვქონდეს?**

— ბოდიში, მაგრამ — არა. მიზეზი უკვე გითხარით — გულნატკენი ვარ.

**— თბილისში ჩამოხვალ?**

— ჩამოვალ, როგორ არა. 29-30-ში თბილისში ვიქნები.

გუშინვე შევეხმიანეთ საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ფორვარდ ზაზა ჯანაშიასაც, ვისაც ნაკრების წევრთაგან ყველაზე ჭირვეულის სახელი აქვს და კაცი რომ ნაღდ მიზეზს ვერ გაიგებს, ხშირად ისეც გაუცდენია სანაკრებო მატჩები. თუმცა გოჩა ჯამარაულისგან განსხვავებით ზაზა ჯანაშიამ, ალალად ვიტყვი, მოულოდნელი მგზნებარებით გვიპასუხა...

— საქართველოს ნაკრებში თამაშზე უარი არასოდეს მითქვამს და არც ვიტყვი. ჩემთვის ეროვნული გუნდი ძალიან ბევრს ნიშნავს.

**— ნაკრებში გამოძახებული ხშირად შეკრებაზე რომ არ გამოცხადებულხარ...**

— ასეა, მაგრამ ეს შეგნებულად არ გამიკეთებია. მიზეზები მქონდა და ამიტომ ვერ ჩამოვდიოდი ხოლმე.

**— იტალიის წინააღმდეგ ითამაშებ?**

— უეჭველად, თბილისში 27 ან 28 მაისს ჩამოვალ და თამაშებისთვის მოვემზადები.

**— ამბობენ, ჯანაშია ნაკრებში შექმნილი ვითარებით არის უკმაყოფილოო...**

— ტყუილია. ასე არ არის. ჩამოვალ და ვითამაშებ. ვგრძნობ, ვხვდები, ვიცი, რომ ხალხი პატივს მცემს და მათთვის ყოველთვის ვითამაშებ. ჩემთვის მთავარი ხალხია და მსურს, საქართველოს ჩემი თამაშით ვასიამოვნო.

**კობა ინასარიძე**

### შვედეთი

VII ტური

ჰამარბი 0:0 აიკ

1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო
1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო პლეხანოვზე
1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე
2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის
ცენტრალური კლინიკა
მისამართი
380109. ვაჟა-ფშაველას 29



ტელეფონები
კანცელარია: 39 23 89
ცნობათა ბიურო: 39 22 89
მიმღები განყოფილება: 39 26 32
საუკუნოვანი გამოცდილება
უახლესი ტექნოლოგიები

საქართველოს ჩემპიონატი 10 ტური
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

I–VI ადგილები

მცხეთა. არმაზი. 23 მაისი. 18 საათი

## ვიტ ჯორჯია — დინამო



დინამოელ ზაზა ზირაქიშვილს (მარცხნივ) ვიტელმა ალეკო ინწკირველმა გზა მოუჭრა

# დუმილი ბრინჯაოტა?

**ბრინჯაოს** ბედი მცხეთაში გადაწყდება. დღეს გადაჭედილი „არმაზი" გაარკვევს, რომელი ქართული გუნდი ირგუნებს უეფას თასის მეორე საგზურს. ერთი ხომ „ლოკომოტივისაა". რკინიგზელებმა თასის ფინალი ჩემპიონ „ტორპედოსთან" რომც წააგონ, უეფას თასზე მაინც მოსინჯავენ ძალას.

ამიტომ დღეს მხოლოდ „არმაზია" ყურადღების ცენტრში, „ვიტ ჯორჯია" ან „დინამო". ევროსარბიელზე თამაში ორივესთვის გარანტირებული, თუმც უეფა რომ სჯობს ინტერტოტოს, რაღა საკამათოა.

„არმაზზე" ისეთი თამაშია, რომ შეცდომის უფლება არავის აქვს. გუნდები თავგამოდებით ემზადებიან სეზონის უპრინციპულესი მატჩისთვის. ვეტერინართა და ათგზის ჩემპიონთა ორთაბრძოლას, ფიფას არბიტრი სერგო კვარაცხელია განსჯის, რომელიც ალბათ ყველანაირად ეცდება, სტუმართმასპინძლისა და ქომაგის წინაშე თავი არ შეირცხვინოს. გამოცდილ ზუგდიდელ არბიტრს ხომ განმსჯელიც არაერთი ეყოლება.

გუშინ მცხეთასა და თბილისში დღევანდელმა მეტოქეებმა ბოლოჯერ ივარჯიშეს. თითქოს ორივე გუნდი მნიშვნელოვანი პრობლემების გარეშე ეგებება მეტოქეს. არ არიან დისკვალიფიცირებულები და სერიოზულად დაშავებულიც არავინაა.

„დინამოს" თავკაცმა გოჩა ტყებუჩავამ წინასამატჩო კომენტარისგან თავი შეიკავა. მომიტევეთ, თამაშის წინ ჟურნალისტებთან საუბარი ცუდად მაქვს დაცდილიო. როგორც შევიტყვეთ, ტყებუჩავა რაღაც სიურპრიზს უმზადებს მოწინააღმდეგე კოლეგას.

დინამოელისგან განსხვავებით, კომენტარზე დაგვთანხმდა ვიტელთა იტალიელი დამრიგებელი **ჯანი კარნევალი**.



ჯანი კარნევალი

— „დინამო" კარგი გუნდია და ძალიან ძნელი თამაშიც გველის, მაგრამ ჩვენთვის დღევანდელ მატჩს დიდი მნიშვნელობა ენიჭება და უკან არ დავიხევთ. „დინამოს" ფრეც აძლევს ხელს. ეს გახლავთ მათი უპირატესობა. დანარჩენს თამაში გამოაჩენს.

სერიოზული არა, მაგრამ პრობლემები მაინც გვაქვს. გოგობერიშვილი მამის გარდაცვალებამ მეტად შეაფერხა. ძლიერ განიცდის ბიჭი, თუმც ვარჯიშობს და მზად არის, ითამაშოს კიდეც. საჯაია შოტლანდიიდან გუშინ დილით შემოგვიერთდა. მხნედ გამოიყურება, მაგრამ ვერ გეტყვით, ითამაშებს თუ არა. ორ ფეხბურთელს მიკროტრავმები აწუხებთ, თუმც რომ გაჭირდეს, მათი შემცვლელიც მოიძებნება. სხვა რა მოგახსენოთ, მობრძანდით „არმაზზე" და ფეხბურთს უქომაგეთ.

ჩვენ კი იმას დავამატებთ, რომ „არმაზზე" მართლაც კარგი თამაში იქნება და ბრინჯაოს ბედიც ნაღდმა ბრძოლამ გადაწყვიტოს.

**გამუკა ქვანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

# 10 ტური

## VII–XII ადგილები

# სტუდენტური დღეები დასრულდა

თბილისი
22 მაისი
18 საათი
ისანი
150 (ტევადობა 1 000)

**თსუ 3:0 ბათუმი**

1:0 ბეროშვილი (11), 2:0 შოშიაშვილი (68), 3:0 ნოზაძე (85)
თსუ: მამარდაშვილი, ქერაშვილი (ზ. მეტრეველი 46), ფირცხალაიშვილი, ბერიანიძე, ჯობავა, შოშიაშვილი (ლობჟანიძე 77), დათუნაიშვილი, მერებაშვილი, მესხი, ბეროშვილი (მინჯია 87), ბ. ნოზაძე
სათადარიგონი: სტურუა; არეშიძე
ბათუმი: ბალაძე, პაპიძე, მინდაძე, გველესიანი, მჟავანაძე, გელა ქორიძე, ღლონტი, ქაცარავა (სიამაშვილი 46), დარჩიძე, რომანაძე (ტუსკია 64), აფხაზავა
სათადარიგონი: ქანთურია; მახარაძე
გაფრთხილება: მჟავანაძე (26), ნოზაძე (71), ბერიანიძე (80), აფხაზავა (88)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი), ა. ორდინიძე (ონი)
სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

ვაჟა ხუციშვილი

**ისე მოხდა**, უმაღლესში დასარჩენად მებრძოლ სტუდენტებს ჩემპიონატის ბოლო ტურში უმოტივაციოდ დარჩენილ ბათუმელთა მასპინძლობამ მოუწიათ.

ზღვისპირელებს შინ მიტანილი 32 ქულა და მე-7 ადგილი სრული დამშვიდების საშუალებას აძლევდა. ამიტომაც სტუმართა დამრიგებელმა ძირითადის სამ მოთამაშეს — ტუღუშს, მუჯირს და ყულეჯიშვილს ქათქათა ქალაქში დარჩენისა და დასვენების საშუალება მისცა.

თბილისელებს მოგება აუცილებლად ესაჭიროებოდათ. თუმცა მათი დარჩენა-არდარჩენის საკითხი კიდევ ორი თამაშის შედეგზე იყო დამოკიდებული. წინა ტურში წაგებული მატჩის შემდეგ თსუ-ს შემადგენლობა საგრძნობლად შეიცვალა. ძირითადში იყვნენ: მერებაშვილი, შოშიაშვილი, დათუნაიშვილი და ბეროშვილი. დაცვაში აკლდათ დისკვალიფიცირებული ხარებავა, ხოლო კარს სტურუას ნაცვლად მამარდაშვილი იცავდა.

ვერ ვიტყვი, რომ შილაკაძის სასტვენისთანავე მასპინძლები უკანმოუხედავად ეკვეთნენ სრულიად ახალგაზრდა ირაკლი ბალაძის კარს, მაგრამ მათ მოქმედებაში სურვილი და მონდომება ნამდვილად იგრძნობოდა.

მატჩი სტუდენტთა უპირატესობით დაიწყო და დაუფასდათ კიდეც. მე-11 წუთზე საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან დარტყმული და ბალაძის მიერ უკუგდებული ბურთი უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ბეროშვილმა არხეინად გადაავლო თავზე მეკარეს და მცველებს.

გაშვებული გოლის შემდეგ ზღვისპირელებმა თამაშის დალაგება სცადეს, ბურთიც დაიჭირეს და შეტევის ორგანიზებაც დაიწყეს, მაგრამ ქერაშვილი და ბერიანიძე სტუმართა კომბინაციებს იოლად უმკლავდებოდნენ. ძალიან მოისუსტებდა დინამოელთა ფლანგები, რომლებიც ვერანაირ ხიფათს ვერ უქმნიდნენ მასპინძელთა დაცვას. შედეგად პირველ ტაიმში ბათუმელებმა ერთადერთი კუთხური ჩააწოდეს და კარშიც ორჯერ დაარტყეს. ორჯერვე ღლონტმა იაქტიურა. პირველად სუსტად დაარტყა, აი, მეორედ კი მჟავანაძემ იგი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, თუმც მამარდაშვილმა ივარგა და მომენტი განმუხტა.



[illegible] ფოტო

ბათუმელებმა — მეკარე ირაკლი ბალაძემ, გელა ქორიძემ (№6), ზვიად პაპიძემ და კახა მჟავანაძემ სტუდენტ ილია ბეროშვილის (№13) დარტყმის მოგერიება ვერ შეძლეს

არ შეიძლება, არ აღინიშნოს ყმაწვილი ბათუმელი მეკარის შეცდომები, რაც, ცხადია, გამოუცდელობის ბრალია. ერთ-ერთი ასეთი საჩუქრით ვერ ისარგებლა მერებაშვილმა, რომელსაც სტუმართა მეკარის უხეიროდ დარტყმული პირდაპირ ფეხებთან მიუგორდა. მასპინძელთა თავდამსხმელმა ისევ ბურთის თავზე გადაგდება მოუნდომა, მაგრამ ვერ შეძლო.

ტაიმის მიწურულს ისეთი თამაში გაჩაღდა, რადიოთი [illegible] და თანაც უკომენტაროდ [illegible] ჩოგბურთი გეგონებოდათ, მხოლოდ ბურთის გადაგდება-ტყაპა-ტყუპი ისმოდა.

შესვენების მერე ორივე გუნდში ცვლილება მოხდა. ქერაშვილის ნაცვლად მეტრეველი შემოვიდა და მარცხენა ფლანგზე ათამაშდა, ხოლო სტუმართა რიგებში ქაცარავა შეცვალა სიამაშვილმა, რომელიც საყრდენ მჟავანაძეს შეუწყვილდა.

თსუ-ს დამრიგებელმა შოშიაშვილი თავდასხმაში გაამწესა და პასებით მისი მომარაგება მეტრეველს დაავალა. ამ უკანასკნელმა კი 68-ე წუთზე თითქმის მთელი მინდორი გადასერა სიგანეზე, ბურთიანად მიუახლოვდა კუთხურის ნიშნულს და იქიდან ჩააწოდა. ისედაც არასაიმედოდ მოთამაშე ბალაძეს და მცველებს შოშიაშვილმა აჯობა და ზუსტი თავურით ანგარიში გაზარდა.

თამაში ისევ ჩაწყნარდა, მოედნის ცენტრში მიმდინარე მოვლენები ორმხრივი შეცდომებით აღინიშნებოდა. ხან არც ერთ მხარეს გამოსდიოდა ზუსტი პასები და ხანაც მცველები აზღვევდნენ თანაგუნდელებს. ბათუმელებმა, რომელთაც მოძრაობით და გადაადგილებით თავი დიდად არ შეუწუხებიათ, სულ ორჯერ დაარტყეს მეტოქის კარისკენ.

მატჩი მთავრდებოდა, როცა მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში აქტიურად მოთამაშე მეტრეველმა მარცხენა ფლანგიდან სტუმართა საჯარიმოში ჩაჰკიდა. ბალაძემ ნახტომში კი მოიგერია ბურთი, მაგრამ დაცემისას ხელიდან გაუვარდა და იგი იქვე მყოფმა ნოზაძემ მოიგდო. მან სტუმართა მეკარე ცრუ მოძრაობით აქეთ-იქით ახტუნავა, ცარიელ კარში ჩამდგარ მცველებს შორის გააძვრინა ბურთი და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 3:0.

ამ გოლს და საერთოდ წაგებას ზღვისპირელებზე არც უმოქმედია. შემდგომში ისიც გაირკვა, რომ ამ გამარჯვებამ სტუდენტებს დიდი ვერაფერი სიხარული მოუტანა.

გორში „დილას“, ხოლო „შევარდენზე“ „გორდას“ მოგებამ ბათუმელთა დიდი ანგარიშით დამმარცხებელ მასპინძლებს ფრიად სამწუხარო ამბავი ამცნო: „სტუდენტური დღეები 2001“ დასრულდა. ისინი სამტრედიის მატარებელს გაჰყვებიან, ახლა რომ პირველი ლიგისკენ მიიჩქარის.

ცუდად ჟღერს სიტყვა — გავარდა. არავინ არსად არ გავარდნილა. ყველამ იცოდა, რომ ექვსიდან ორი ერთი საფეხურით დაბლა დაეშვებოდა. დასანანია, მაგრამ ესენი არიან — „იბერია“ და თსუ.

შემოიღებენ თუ არა უნივერსიტეტში ახალ საგანს — „ფეხბურთი სტუდენტებისთვის“, არ ვიცი, მაგრამ როგორ გგონიათ, განა ადვილია ერთდროულად ორ უმაღლესში ყოფნა?

# სტუმარი ღვთისა და შმაღლესისაა

თბილისი
22 მაისი
18 საათი
შევარდენი
400 (ტევადობა 3 000)

**იბერია 0:3 გორდა**

0:1, 0:2 ლაბაძე (2, 71), 0:3 თ. მეტრეველი (89)
იბერია: ცინაძე, შ. ლაცაბიძე (ლ. ვაშაკიძე 65), ჟვანია, სანიკიძე, მიქელთაძე, ჩაჩუა (გ. ნოზაძე 46), გულორდავა, ლ. ხმალაძე, კაკაშვილი (ყურაშვილი 46), ქიაბრიშვილი, ივეჩიანი
სათადარიგონი: ნადირაშვილი
გორდა: ბედიაშვილი, კუდელაშვილი, ბერიძე, ა. გელაძე, ლაშა სილაგაძე, ზ. ლაბაძე, მელაძე, თ. მეტრეველი, ჯულელი, კ. ალადაშვილი (გ. გიქაძე 75), კიტეიშვილი (მიშველიძე 75)
სათადარიგონი: გუგუნავა; ბექაური, პატარიძე
გაფრთხილება: გელაძე (80)
მსაჯები: ა. მუშკუდიანი; ზ. მჭედლიშვილი, ლ. სილაგავა (სამივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი

კახა შალამბერიძე

**გუშინ** „შევარდენზე“ სამტრედიიდან თბილისს შეხიზნულმა „იბერიამ“ რუსთავის „გორდას“ უმასპინძლა და მშვენიერი სტუმართმოყვარეობაც გამოიჩინა მის მიმართ. თუმცა აუტსაიდერთაგან წარმატებულ თამაშს არც არავინ ელოდა. „გორდამ“ უპრობლემოდ დაამარცხა მეტოქე და უმაღლეს ლიგაში ადგილიც შეინარჩუნა.

აქამდე „იბერია“ რუსთაველთათვის ერთობ უხერხულ მეტოქედ ითვლებოდა, თუმცა უკვე მე-2 წუთზე ალადაშვილის პასით ლაბაძის მიერ გატანილმა გოლმა ცხადი გახადა, რომ სტუმრები არაფერს დათმობდნენ. ცოტა ხანში ალადაშვილი-ჯულელის ორსვლიანი კომბინაციის შედეგად კიტეიშვილი დარჩა ხელსაყრელ პოზიციაში, თუმცა მას ცინაძემ დაასწრო და სახიფათო მომენტი განმუხტა. ერთადერთხელ, მე-14 წუთზე დაემუქრა „იბერია“ სტუმრებს — ხმალაძის შორიდან დარტყმული ბედიაშვილს გაუვარდა ხელიდან, მაგრამ ივეჩიანს მანვე დაასწრო, გოლის გატანის საშუალება არ მისცა.

ტაიმის შუაში ჯულელს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მისი დარტყმული ხარიხამ აისხლიტა. 35-ე წუთზე მეტრეველმა მეკარესთან პირისპირ დატოვა კიტეიშვილი, რომელმაც ცინაძის მოტყუება ვერ შეძლო და ასპროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან. ორიოდ წუთში ცინაძემ კვლავ გადაარჩინა საკუთარი გუნდი — მან სასწაულებრივ აუღო მეტრეველს. ტაიმის მიწურულს კი კიტეიშვილმა ალადაშვილის საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი თავით ცარიელ კარს გადააცილა.



[illegible] ფოტო

რუსთაველი ალეკო კიტეიშვილი (შუაში) იბერიელ შალვა ლაცაბიძესაც გასცდა და მეკარე გიორგი ცინაძესაც, მაგრამ მაინც ვერ გაიტანა

მეორე ტაიმში ასგოლიანმა ჯულელმა გამოიჩინა თავი, ოღონდ საგოლე მომენტების გამოუყენებლობით. ის საკმაოზე მეტ დროს ატარებდა ბურთთან და მომენტებსაც ქარს ატანდა.

69-ე წუთზე ლაბაძის მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ცინაძემ საკუთარ კარში ჩაჭრა, თუმცა თანამსაჯმა ჯულელზე თამაშგარე დააფიქსირა. „გორდამ“ მაინც შეძლო მეორე გოლის გატანა, თანაც იმავე დუეტის აქტიურობით: ლაბაძის ჩაწოდებულ ბურთს ჯულელი ვერ შეწვდა. მეკარე დაიბნა, ბურთი კი კარში ჩაეშვა — 0:2.

87-ე წუთზე „იბერიას“ შეეძლო პრესტიჟის გოლი მაინც გაეტანა, მაგრამ ივეჩიანმა გულორდავას კარგი პასი ვერ შეიშნო და კარის წინ მარტო მდგომმა ბურთს ფეხი ვერ მოარტყა.

89-ე წუთზე კი „გორდამ“ სწრაფი კონტრიერიში განახორციელა: კედელაშვილის პასზე ჯულელმა მერამდენედ დააზანა, მის მიერ მოგვიანებით დარტყმული ბურთი კი მცველებმა აისხლიტეს, რომელსაც მეტრეველმა ახლოდან კარში მიუჩინა ადგილი და ანგარიში სამამდე გაზარდა. მატჩიც სულ რაღაც წუთში დამთავრდა.

„გორდამ“ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა, „იბერია“ კი... ნეტავ, როდის გაბრწყინდება?

# ჯერ არასდროს არ ყოფილა გორი ასე წყნარი

გორი
22 მაისი
18 საათი
ცენტრალური
1500 (ტევადობა 8 230)

## დილა 2:1 სიონი

1:0 ჩიტაია (25), 2:0 ბოკერია (66), 2:1 ჩაგელიშვილი (88)
დილა: თ. ილურიძე, გ. ჩიტაია, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, თაყაძე (გოგინაშვილი 70), დ. მაისურაძე, ფეხუაშვილი (ლომიძე 68), რევაზიშვილი, ხორგუაშვილი, ეჯოშვილი (ბოკერია 59)
სათადარიგონი: სომხიშვილი; მ. ბურნაძე
სიონი: დალაქიშვილი (შეყლაშვილი 46), კ. გოდერძიშვილი, ირემაშვილი, სიდომონიძე, სოლოლაშვილი, ამბიძე (კენჭოშვილი 53), მოსეშვილი, მინდიაშვილი, კ. მეტრეველი, ისიანი, ჩაგელიშვილი
სათადარიგონი: სვანიძე
გაფრთხილება: ჩიტაია (61)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

დავით თავართქილაძე გორიდან

**თავსატეხი** გამოდგა მეთორმეტე ეროვნული სფფ-ისთვის. ახალფორმატიან ჩემპიონატს ბევრი ნაკლი აღმოაჩნდა. ბევრი მატჩი დაძაბულად კი ჩატარდა, მაგრამ საეჭვო და ჩაწყობილი თამაშებიც არცთუ იშვიათი იყო. ფედერაციამ ან სისტემა უნდა დახვეწოს, ანაც ფეარ პლეის ათი მცნება ქართულად გადმოთარგმნოს, ასლები უხვად დაბეჭდოს, გუნდებს ჩამოურიგოს და ამასთან სამართლიანი თამაშისთვის სწავლა-აღმზრდელობითი მუშაობაც გააჩაღოს.

„სიონი“ რომ არხეინს დაიჭერდა, გასაკვირი არ იყო, მაგრამ თუ მარადჟამს მშფოთარე გორის ცენტრალური სტადიონი გაყუჩდებოდა, ეს კი არ გვეგონა. სხვა რა ექნა გორელ გულშემატკივრებს, მათი გუნდი არხეინებს არხეინად უგებდა, თუმც ბოლო ათი წუთი მაინც გამოცოცხლდნენ ქომაგები — ერთადერთი მებრძოლი ბოლნისელი ველარ იგუეს.

ასეა თუ ისე, მატჩის პერიპეტიებს მაინც მოგახსენებთ. თაყაძის კუთხურს ხორგუაშვილმა თავური მიაყოლა, მაგრამ შორეულ ძელთან მყოფმა მოსეშვილმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი, მერე რევაზიშვილმა ააცილა მცირედით „ცხრიანს“, შემდეგ თაყაძემ ვერ გაასწორა მიზანი, ეჯოშვილმაც გააცუდა დარტყმა. ერთი სიტყვით, ბევრი სახიფათო მომენტი შექმნეს გორელებმა, მაგრამ ბრძოლა არ ყოფილა. მოედნის ცენტრში დასეირნობდნენ ფეხბურთელები, ბოლნისელები საჯარიმოს მისადგომებთანაც კი არ აფერხებდნენ მეტოქეთა დარტყმებს, ცარიელ დერეფნებში დანავარდობდა „დილა“. არცთუ იშვიათად ოთხი ბოლნისელი რჩებოდა მეტოქის საჯარიმოსთან და უკან ზლაზვნით ბრუნდებოდა. პირველ ტაიმში სულ ორჯერ დაჯარიმდა „სიონი“, მასპინძელი კი ერთხელ. გოლიც ბავშვური გავიდა — რევაზიშვილმა საჯარიმოში შეჭრილ ჩიტაიას უპასა, რომელსაც არავინ გაებრძოლა და ისე მიაბზრიალა ბურთი ბადეში. მიხვდა ყველაფერს ქომაგი, გაისუსა სტადიონი, აღარც სიგარეტის ხარბი ქაჩვა იყო და აღარც მზესუმზირის კნატუნი.

მეორე ტაიმში ჯარიმებმა იმატა, ყვითელი ბარათიც დააძრო ლევან ფანიაშვილმა, კარში დარტყმებსაც მოუხშირეს მასპინძლებმა, მაგრამ ვერ მოვიდნენ ხასიათზე გულშემატკივრები, ბოკერიას ლამაზ გოლზე გაიხარეს და ეგ იყო. მანამდე მოსეშვილსა და რევაზიშვილსაც შეეძლოთ, ეხეირათ, მერე ორჯერ მაისურაძემ შეაწუხა „სიონის“ შეცვლაზე შესული მეკარე შეყლაშვილი.

ბოლნისელთა ფორვარდი ლაშა ჩაგელაშვილი იყო ის კაცი, რომელიც მთელი 90 წუთი შეუპოვრად ირჯებოდა. ძირითადში თამაშს დანატრებული ფეხბურთელი არც ვარდნაში ბურთის ართმევას ერიდებოდა და ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდში გორელი გულშემატკივრების წყრომაც დაიმსახურა. დარჩენილ ათ წუთში როგორც კი ბურთს მიიღებდა, მყისვე სტვენა და რეპლიკები ისმოდა ტრიბუნიდან. ერთხელაც ისიანის მოხდენილი პასი შეიშნო, თამამ ილურიძეს პირისპირ შეეყარა და ოსტატურად გადაუგდო ბურთი კარში. მერე კი გულმოოხებული ტრიბუნას მიუბრუნდა — ესეც თქვენო.

ფეარ პლეის პრიზი ლაშა ჩაგელიშვილს!

### VII-XII ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:7 | 32 |
| სიონი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:12 | 27 |
| გორდა | 10 | 5 | 2 | 3 | 16:13 | 26 |
| დილა | 10 | 5 | 1 | 4 | 19:11 | 25 |
| თსუ | 10 | 4 | 1 | 5 | 11:17 | 23 |
| იბერია | 10 | 0 | 1 | 9 | 7:26 | 3 |

„გორდა“ — „სიონის“ მონაწილეებს ჩაეთვალათ წაგება 0:3 და ჩამოაკლდათ 3-3 ქულა, „გორდას“ სწორედ გარიგებულ მატჩში (3:2) მოპოვებული

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
◆ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
◆ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
◆ კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის
განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თსსუ ცენტრალური კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო).
I სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109

იყიდება
როტვეილერის
ლეკვები

☎ 39 42 65
(საღამოს, 19⁰⁰-21⁰⁰)

საქართველოს ჩემპიონატი 12 პირველი ლიგა მეორე ეტაპი

# 10 ტური

## I-VI ადგილები



ნიკოლოზ კიკვიძის (№8) გოლმა წყალტუბოელებს უმაღლესში მოწყობის შანსი გაუორკეცა

# მსურველია ორი, წყალტუბო და გორი

წყალტუბო
22 მაისი
18 საათი
26 მაისი
1200 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 2:0 მილანი

1:0 კიკვიძე (59), 2:0 დარსაძე (61)
სამგურალი: ბოდოკია, ბერაძე, ქელიძე, ფრანგიშვილი, თურმანიძე, შ. ლონლაძე, მ. ჯინჭარაძე (ლ. ქობულაძე 80), კიკვიძე, დარსაძე, კვერნაძე (დ. ჯიქია 46), ქუთათელაძე (კოპალიანი 87)
სათადარიგონი: ვარდანიძე, ვადაჭკორია, თირქია, შ. ფუტკარაძე
მილანი: გ. სომხიშვილი, ლუდუშაური, მეტონიძე, კობაიძე, ტარულაშვილი, გოლეთიანი, ქყონია, ბარამიძე, მედოევი, სოსელია (ვარამაშვილი 69), ტოკლიკიშვილი
სათადარიგონი: ძამუნაშვილი; მ. სომხიშვილი, ლეკიშვილი, გ. ჩიტაური
გაფრთხილება: გოლეთიანი (65), ბარამიძე (80)
გაძევება: ძამუნაშვილი
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე, დ. სანაია (ორივე სოხუმი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

| | | |
|---|---|---|
| 18 | ჯარიმა | 18 |
| 5 | კუთხური | 3 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 6 | კარში დარტყმა | 1 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

იუზა კაციტაძე წყალტუბოდან

**ბოლოსწინა** ტურამდე გუშინდელი მეტოქეები უმაღლესი ლიგის საგზურების მაძიებელთა ექვსეულში პირველ-მეორეზე იმყოფებოდნენ. „მილანს“ საუკეთესო შანსი ჰქონდა — „გურიასთან“ საშინაო მატჩში ფრის შემთხვევაშიც კი პრაქტიკულად ნატვრას აისრულებდა. „სამგურალს“ ოდნავ რთულად ჰქონდა საქმე, მაგრამ „მეტალურგთან“ გასვლით თამაშში რომ არ წაეგო და ბოლოს ემარჯვა, ისიც პირდაპირ უმაღლესში იყო. წნორელთა და წყალტუბოელთა სამწუხაროდ, „მილანმაც“ და „სამგურალმაც“ მარცხი იგემეს და საქმეც წაიხდინეს.

გუშინდელი სამი შეხვედრიდან ორი იოლად გამოსაცნობი გახლდათ. გურულები შინ „ცხინვალს“ ხვდებოდნენ და მისი ძლევაც არ უნდა გასჭირვებოდათ. „მეტალურგიც“, მართალია, სტუმრად, მაგრამ უმოტივაციო „შუქურასთან“ 3 ქულას რომ მიითვლიდა, ესეც დღესავით ნათელი იყო, ქობულეთელებს აქამდე არ უხეირიათ და რალა ზესტაფონელებს შეაკლავდნენ თავს. ამიტომ გუშინდელი სამიდან წინასწარ გამოუცნობი მხოლოდ წყალტუბოში გასამართი მატჩი იყო. მასპინძლებს გადათამაშებაში მოსახვედრად აუცილებლად უნდა დაემარცხებინათ მეტოქე, სტუმრებს „26 მაისზე“ ფრეც აძლევდათ ხელს ზედა ლიგაში აღსაზევებლად.

ერთი სიტყვით, წყალტუბოურ მატჩს ინტრიგა ახლდა, მეტი რომ არ შეიძლება. თამაშიც თავიდან ისე წარიმართა, რომ მის საბოლოო შედეგს ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. მეტოქეებმა სიფრთხილე რომ გამოიჩინეს, ეს ბუნებრივიც იყო, ერთი შეცდომაც კი, შესაძლოა, მათ ძვირად დაჯდომოდათ. შესვენებამდე გუნდებმა უფრო დაცვაზე იზრუნეს და მშრალადვე შეინარჩუნეს საკუთარი კარი, თუმც რამდენიმე მომენტში მაინც დააფრთხეს ერთმანეთი. მე-7 წუთზე ბარამიძემ მარჯვენა ფლანგიდან სახიფათოდ გაგზავნა მასპინძელთა საჯარიმოში, სადაც სოსელიამ თავურით გატანა დააპირა, მაგრამ ბურთს ვერ მიწვდა. წუთში წყალტუბოელებმა განახორციელეს სწრაფი შეტევა და კიკვიძის გადაცემას ქუთათელაძემ შეაგება თავური, ოღონდ ოდნავ არაზუსტად.

მე-16 წუთზე საჯარიმოს გარედან დარსაძის ანაზდად გასროლილზე გიორგი სომხიშვილმა იმარჯვა და კუთხურზე გადააგდო ბურთი. პირველ ტაიმში საგულისხმო კიდევ ის მოხდა, რომ არბიტრმა სათადარიგოთა სკამიდან ტრიბუნაზე მიაბრძანა ზედმეტად ემოციური წნორელთა მეორე მეკარე ძამუნაშვილი.

თამაშის განახლების შემდეგ მოედანზე სიტუაცია საპირისპიროდ შეიცვალა. მასპინძლები ერთბაშად გააქტიურდნენ და მძლავრად შეუტიეს მეტოქეს. 48-ე წუთზე „მილანის“ კართან შექმნილი დაძაბულობა ბოლო მომენტში კობაიძემ განმუხტა. ამას წუთში სომხიშვილის კარისკენ ჯინჭარაძის შორეული დარტყმა მოჰყვა და ბურთი მცირედით აცდა მიზანს.

მასპინძლები სულ უფრო ავიწროებდნენ მეტოქეს. 57-ე წუთზე ჯიქია აღმოჩნდა მეტად ხელსაყრელ პოზიციაში. რვა მეტრიდან დაარტყა კარში, მაგრამ კუთხურსღა გამორჩა. ამ ეპიზოდიდან ორ წუთში წყალტუბოელებმა მაინც გაიტანეს თავისი, ანგარიში გახსნეს. კიკვიძემ გამოიჩინა თავი. ნიკომ მეკარის ბაქნის კუთხეში მიუსწრო პარტნიორის გრძელ პასს და გოლკიპერს შანსი არ დაუტოვა, ახლო მაღალ კუთხეში აულებელი დაურტყა. კიდევ ორი წუთი და მასპინძლებმა მეორე გოლით გაიხარეს. დარსაძემ შეირგო ჯინჭარაძის პასი და ახლოდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა. 2:0 უკვე დიდი ფორა იყო და „სამგურალმაც“, ფაქტობრივად, უპრობლემოდ შეინარჩუნა ანგარიში. მეტიც, მისი გაზრდა შეეძლო, ოღონდ ჯერ დარსაძეს და მერე ჯინჭარაძეს არ გაუმართლა. აქ ისიც სათქმელია, რომ სტუმრებს საფინალომდე არ დაუყრიათ ფარ-ხმალი, მაგრამ თავდასხმაში უგერგილოდ ირჯებოდნენ და ამიტომაც ვერას გახდნენ.

ლოგიკური გამოდგა ამ პრინციპული თამაშის შედეგი. არადა, უნდა გენახათ როგორ ბრაზობდა მატჩის გასრულების შემდეგ წნორელთა მეკარე. ვერავინ გაიგო, რისთვის გამოენთო გიორგი სომხიშვილი მატჩის არბიტრ კახაბერ მესხს.

ბოლო ტურმა ექვსეულში ყველაფერი გაარკვია. „გურიამ“ და „მეტალურგმა“ უმაღლესში „ჩააბარეს“, „მილანი“ კი იქ გაისად თუ მოხვდება. რაც შეეხება „სამგურალს“, წყალტუბოელებს ეს შანსი 27 მაისამდე რჩებათ. ამ დღეს ისინი გორის „დილას“ გაეჯიბრებიან და ვნახოთ...

## გურია 2:0 ცხინვალი

## შუქურა 1:3 მეტალურგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 10 | 6 | 2 | 2 | 14:8 | 41 |
| მეტალურგი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:12 | 38 |
| სამგურალი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:7 | 38 |
| მილანი | 10 | 5 | 1 | 4 | 16:7 | 37 |
| ცხინვალი | 10 | 2 | 3 | 5 | 8:14 | 29 |
| შუქურა | 10 | 0 | 3 | 7 | 4:19 | 23 |

# ფრაიბურგის მეორედ გასვლა
# სამი ფინალი ქართველებისთვის

**გერმანიაში**, ინგლისში, შოტლანდიასა და ბელგიაში ჩემპიონატები დამთავრდა. ყველაზე გამოსარჩევი ამბავი ჩვენთვის ბუნდესლიგაში მოხდა. ოთხი ქართველის „ფრაიბურგმა", თავიდან გავარდნას რომ უწინასწარმეტყველებდნენ, უეფას თასის საგზური მოიპოვა — მეორედ თავის 97 წლიან ისტორიაში...

ორივე ამ წარმატების შემოქმედი 53 წლის მწვრთნელი ფოლკერ ფინკე გახლავთ, რომელიც გუნდში უკვე ათი წელიწადია მუშაობს და ორჯერ მოახერხა არცთუ სახელიანი კლუბის მეორედან პირველ ბუნდესლიგაში აღზევება.

პირველად ფრაიბურგელები ევროპაში 1995 წელს გავიდნენ, მას შემდეგ, რაც ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავეს. მაშინ გამოუცდელი გუნდი პირველივე წრეში დამარცხდა ჩეხურ „სლავიასთან". ახლა კი მეორედ გასვლის მომსწრენიც გავხდით. ეგ კი არა, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ მეოთხე ადგილს სულ ორი ქულით ჩამორჩნენ...

ამაში ქართველი ფეხბურთელების წვლილიც ძალიან დიდია. აი, ბოლო ტურში, შინ „ვოლფსბურგთანაც" ლევან კობიაშვილმა კვლავ კარგად ითამაშა. პენალტი ხომ გაიტანა და მწვავე კომბინაციაც არაერთხელ წამოიწყო. ამ სეზონში ლევანს 7 გოლი და 5 საგოლე პასი მოუგროვდა, რაც უფრო დაცვისკენ მოწოდებული მოთამაშისთვის ცუდი შედეგი არ არის. ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი კი წლეულს ტრავმებით გაიტანჯნენ, თუმცა გუნდისთვის სიკეთის მოტანა მაინც მოასწრეს. თუ ზაფხულში რომელიმე მათგანი სხვა კლუბმა არ გადაიბირა, შემოდგომისთვის გიორგი კიკნაძეც დაემატებათ და მთლად გაქართველდებიან...

იტალიაში ისე მოხდა, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურის მფლობელი, ფაქტობრივად, სერიას დამთავრებამდე სამი ტურით ადრე გაირკვა. კახა კალაძის „მილანმა" შინ მოულოდნელად წააგო „ფიორენტინასთან", მთავარმა კონკურენტმა „პარმამ" კი „ინტერი" დაამარცხა და „შავ-წითლებს" 6 ქულით დაშორდა. ქართველს ურიგოდ არ უთამაშია და ანდრეი შევჩენკოს მერე „რაი უნომ" თანაგუნდელთაგან ყველაზე მაღალი შეფასებაც დაუწერა. დღეისთვის „მილანი" მეხუთე საფეხურზე დგას და თითქმის გადაწყვეტილია, გაისად უეფას თასისთვის იბრძოლებს.

ჩვენმა ინგლისელებმა არც მწვადი დაწვეს და არც შამფური. რატი ალექსიძის „ჩელსიმ" სეზონი მეექვსე ადგილზე დაასრულა და შემოდგომიდან უეფაზე თამაშის უფლებაც დაიბევა, გიორგი ქინქლაძის „დერბი" კი, მიუხედავად იმისა, რომ სამი გავარდნილის თავზე დაიდო ადგილი, „სიტი"-„ქოვენთრი"-„ბრედფორდს" გვარიანად გაუსწრო და სეზონიც მშვიდად ჩაამთავრა.

აი, რუსეთსა და ლატვიაში კი ჩემპიონატები მხოლოდ ახლა ხურდება. რუსეთში, ქვეყნის თასის ფინალში გავიდა ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივი" — თანაც ასეთი რამ ბოლო ექვს წელიწადში მეხუთედ გააკეთა... გადამწყვეტ მატჩში, 20 ივნისს რკინიგზელები მახაჩყალის „ანჟის" შეხვდებიან.

თასი თასად, მაგრამ იური სიომინის გუნდს ჩემპიონატში ვერ მისდის კარგად საქმე. ბოლო ტურში ცსკა-სთან ლამის მოგებული თამაში წააგო და მეშვიდე ადგილამდე დაქვეითდა. 10 თამაშიდან მხოლოდ 4 მოგება ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდისთვის მართლაც მძიმე დასაწყისია.

ჩვენებურთა „სკონტო" დღეს ლატვიის თასის ფინალში „დინაბურგს" ეთამაშება. შაბათს კი ჩემპიონატის მატჩში შინ „მეტალურგსს" დაუზავდა. 77-ე წუთზე ლევან კორღალიძის პასით არტურ ზაკრეშევსკიმ გახსნა ანგარიში. ორიოდ წუთში კი ალექსანდრე რეხვიაშვილმა საკუთარ საჯარიმოში ლიეპაიელ ალექსანდრ კატასონოვს რაღაც მალაყისმაგვარი შეასრულებინა და პენალტი ზუსტად დაარტყა დამნაშავე-დაზარალებულის სეხნია პავლენკომ 1:1 — თუმცა ამ ფრეს რიგელები დიდად არ დაუმწუხრებია. ისინი კვლავაც ლიდერები არიან.

დღესვე მოლდოვის თასის ფინალში დავით მუჯირის „შერიფი" ოტაჩის „ნისტრუს" შეეჯიბრება.

**სოლომონ ბულისკვილი**



ლევან კობიაშვილმა ბუნდესლიგის ეს სეზონი გოლით დაასრულა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ვოლფსბურგი 4:1 | 0 | ტრავმირებულია | 26 | 4 | 6 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ვოლფსბურგი 4:1 | 60 | 1 გოლი პენ, შეცვალეს | 31 | 7 | 6 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ვოლფსბურგი 4:1 | 0 | ტრავმირებულია | 20 | 0 | 6 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | ვოლფსბურგი 4:1 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | დორტმუნდი 3:3 | 0 | | 26 | 7 | 10 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | შ | ობერჰაუზენი 1:1 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 0 | 7 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | ჰანოვერი 1:2 | 0 | | 1 | 0 | 5 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | იფსვიჩი 1:1 | 90 | | 24 | 1 | 17 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | სიტი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 2 | 0 | 6 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | ჰართსი 0:2 | 78 | შეცვალეს | 34 | 2 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | ჰართსი 0:2 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 6 | 0 | 6 |
| **იტალია** | | | | | | | | |
| სერია A | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ფიორენტინა 1:2 | 90 | | 15 | 2 | 5 |
| **ესპანეთი** | | | | | | | | |
| პრიმერადივიზიონი | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | შ | მალაგა 4:0 | 8 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 15 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | ვიტესი 1:2 | 90 | 1 გოლი | 25 | 17 | 4 |
| | აიაქსი | ს | ტვენტე 3:1 | 90 | | 26 | 17 | 4 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | გრააფსხაპი 3:2 | 0 | | 4 | 0 | 1 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | მეხელენი 1:1 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 27 | 1 | 10 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | შ | ანდერლეხტი 1:5 | 0 | | 3 | 1 | 16 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | ლუგანო 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 32 | 9 | 8 |
| | ციურიხი | ს | სერვეტი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 33 | 9 | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | ლუგანო 1:2 | 90 | | 30 | 13 | 8 |
| | ციურიხი | ს | სერვეტი 0:2 | 66 | შეცვალეს | 31 | 13 | 8 |
| A/B ჯგუფი | | | | | | | | |
| ლევან ხომერიკი | არაუ | ს | ივერდონი 1:1 | 16 | შეცვლაზე ითამაშა | 26 | 7 | 4 |
| | არაუ | შ | იანგ ბოიზი 2:0 | 30 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 27 | 8 | 3 |
| ზაზა ზამთარაძე | ვინტერტური | ს | იანგ ბოიზი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | ? | 0 | 5 |
| | ვინტერტური | შ | ივერდონი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | ? | 0 | 6 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | ცსკა 1:2 | 0 | | 9 | 2 | 7 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | ს | ცსკა 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი | შ | კრილია 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ზურაბ ფოფხაძე | ალანია | ს | სოკოლი 1:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 5 | 0 | 14 |
| თორნიკე რუხაძე | ალანია | ს | სოკოლი 1:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 14 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | ფაკელი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| თასის ნახევარფინალი | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | სოკოლი 1:0 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | ს | სოკოლი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | შ | ლადა 1:0 | 0 | | 6 | 0 | 2 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | შ | ლადა 1:0 | 90 | | 6 | 0 | 2 |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | ლადა 1:0 | 20 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 1 | 2 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | ს | ვოლგარი 1:2 | 90 | | 3 | 0 | 15 |
| იური გაბისკირია | სპარტაკი | ს | რუბინი 0:3 | 41 | შეცვალეს | 6 | 0 | 4 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | ზაპოროჟია 0:1 | 90 | | 19 | 2 | 9 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | ზაპოროჟია 0:1 | 90 | | 16 | 4 | 9 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | ს | მეტალისტი 1:2 | 0 | | 15 | 6 | 14 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | ს | მეტალისტი 1:2 | 0 | | 15 | 1 | 14 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | ს | მეტალისტი 1:2 | 0 | | 9 | 2 | 14 |
| ლევან მიქაძე | ცსკა | ს | კრივბასი 1:0 | 90 | | ? | 0 | 5 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | ლეგია 0:1 | 90 | | 17 | 1 | 8 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კობა ნიტაიშვილი | ი. რიშონი | შ | ნეთანია 4:4 | 90 | | 31 | 12 | 10 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | იანინა | ს | ოფი 1:1 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 20 | 2 | 13 |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | ს | პანათინაიკოსი 0:4 | 45 | შეცვალეს | 9 | 1 | 10 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:1 | 90 | | 5 | 1 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:1 | 0 | | 2 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:1 | 45 | შეცვალეს | 6 | 1 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:1 | 45 | შეცვლაზეითამაშა, საგ. პასი | 6 | 2 | 1 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:1 | 0 | | 3 | 0 | 1 |
| თამაზ პერტია | რიგა | ს | დაუგავა 0:4 | 0 | | 0 | 0 | 7 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

## სავარაუდო შემადგენლობა

1. სანტიაგო კანისარესი, 32 წლის. ეს მისთვის ჩემპიონთა ლიგის მესამე ფინალია. პირველად კანისარესი სათადარიგოთა სკამზე იჯდა, როცა 1999 წელს ამსტერდამში „რეალმა" დაამარცხა „იუვენტუსი". წინა ფინალში კი მას თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ მოუხდა თამაში. ბრწყინვალედ თამაშობს ხაზზეც და გამოსვლაზეც. ბოლო დროს იკერ კასილიასი ნაკრების პირველ მეკარეობაში ეცილება.

20. ჟოსელინ ანგლომა, 35 წლის. გუნდის მეორე უხუცესი ფეხბურთელი ახლაც ჩინებულ ფორმაშია. ფაქტობრივად არასდროს ცდება პოზიციურად და სახიფათოდაც უტევს. ჩემპიონთა თასი რვა წლის წინ აქვს მოგებული „მარსელში" თამაშისას.

12. რობერტო ფაბიან აიალა, 28 წლის. არგენტინის ნაკრების კაპიტანი შეუცვლელად თამაშობს ამ სეზონში. „მილანიდან" გადასვლის შემდეგ ის დაცვის ლიდერია და გაუვალ ზღუდეს ქმნის მაურისიო პელეგრინოსთან ერთად. ჩემპიონთა ლიგაში ორი გოლი გაიტანა.

2. მაურისიო პელეგრინო, 29 წლის. „ბარსელონაში" თამაშისას ნაკლებად შესამჩნევი იყო, ხოლო 1999 წელს „ვალენსიაში" გადასულმა პირველივე სეზონი კარგად ჩაატარა და ამ სეზონში კიდევ მოუმატა. ამის ერთ-ერთი მიზეზი გუნდში აიალას გადასვლაცაა, რომელიც მას ბრწყინვალე პარტნიორობას უწევს.

15. ამადეო კარბონი, 36 წლის. ყველაზე ასაკოვანმა ვალენსიელმა წინა ფინალი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

19. რუბენ ბარახა, 25 წლის. ფრანსისკო ფარინოსის და ხერარდ ლოპესის წასვლის შემდეგ ექტორ კუპერმა ნახევარდაცვის ცენტრში ხვრელის ამოვსება მას დაავალა და გაუმართლა. ის მუდმივად სასტარტო შემადგენლობაშია და მოსალოდნელია, რომ ფინალში სწორედ მისგან დაიწყება „ვალენსიას" იერიშები.

6. გაისკა მენდიეტა, 27 წლის. გუნდის ნალდი კაპიტანი, რომლისთვისაც შარშანდელი ფინალი ყველაზე საშინელ მოგონებად ქცეულა. შეუძლია იყოს გამთამაშებელიც და თავადვე დაასრულოს იერიშები. წარმოუდგენელი იქნება, თუ ფინალში მის მიმართ მჭიდრო პრესინგს არ გამოიყენებენ.

18. კილი გონსალესი, 26 წლის. წინა ფინალის დროს არგენტინელი ტრავმირებული იყო, მაგრამ მაინც ითამაშა. სანახაობრივად მისი თამაში ნაკლებად მიმზიდველია, თუმცა ბევრ საქმეს აკეთებს.

35. პაბლო აიმარი, 21 წლის. კლუბისთვის სარეკორდო ოც მილიონ დოლარად იანვარში ნაყიდმა არგენტინელმა რამდენადმე შეცვალა „ვალენსიას" თამაში. მას ზურგს მენდიეტა უმაგრებს და ხშირად თამაშის არასტანდარტულ გაგრძელებებს პოულობს.

17. ხუან სანჩესი, 29 წლის. სწრაფი და ტექნიკური, მიმდინარე სეზონში გუნდის გმირად იქცა. ლიგაშიც და პრიმერადივიზიონშიც უმნიშვნელოვანესი გოლები აქვს გატანილი და კარგ წყვილს ქმნის ფიზიკურად მასზე ძლიერ იონ კარეუსთან.

7. იონ კარეუ, 21 წლის. სეზონის დასაწყისში ნორვეგიული „რუსენბორგიდან" გადმოსული ამავე ქვეყნის ნაკრების დაკუნთული თავდამსხმელი კლაუდიო ლოპესის სრულფასოვანი შემცვლელი ვერ გახდა, მაგრამ ხშირად გაუტანია გოლები მაშინ, როცა „ვალენსია" მთლიანობაში ცუდად თამაშობდა.

# დღეს ჩემპიონთა ლიგა ფინალი

## ვალენსია — ბაიერნი

მილანი. «სან სირო». 23.45 ჩვენი დროით

### მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

## გზა ფინალამდე

**მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი**

ტიროლი 0:0 ვალენსია

ვალენსია 4:1 ტიროლი

მენდიეტა (2), დიეგო ალონსო (2)

**პირველი ჯგუფური ეტაპი**

ვალენსია 2:1 ოლიმპიაკოსი

ბარახა, დიეგო ალონსო

ჰერენვენი 0:1 ვალენსია

კილი გონსალესი

ვალენსია 1:0 ლიონი

ზაჰოვიჩი

ლიონი 1:2 ვალენსია

ხუან სანჩესი, ბარახა

ოლიმპიაკოსი 1:0 ვალენსია

ვალენსია 1:1 ჰერენვენი

დიეგო ალონსო

*ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა*

**მეორე ჯგუფური ეტაპი**

ვალენსია 2:0 შტურმი

კარეუ, ხუან სანჩესი

პანათინაიკოსი 0:0 ვალენსია

ვალენსია 0:0 მანჩესტერ იუნაიტედი

მანჩესტერ იუნაიტედი 1:1 ვალენსია

ბრაუნი (ს.კ.)

შტურმი 0:5 ვალენსია

აიალა, კარეუ, კილი გონსალესი, დიეგო ალონსო (2)

ვალენსია 2:1 პანათინაიკოსი

ხუან სანჩესი, ანგლომა

*ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა*

**მეოთხედფინალი**

არსენალი 2:1 ვალენსია

აიალა

ვალენსია 1:0 არსენალი

კარეუ

**ნახევარფინალი**

ლიდს იუნაიტედი 0:0 ვალენსია

ვალენსია 3:0 ლიდს იუნაიტედი

ხუან სანჩესი (2), მენდიეტა

**სულ**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18 | +10 | =6 | –2 | 26:9 |

**პირველი ჯგუფური ეტაპი**

ჰელსინგბორგი 1:3 ბაიერნი

შოლი, სალიჰამიჯიჩი, იანკერი

ბაიერნი 3:1 რუსენბორგი

იანკერი, ელბერი, ლინკე

პსჟ 1:0 ბაიერნი

ბაიერნი 2:0 პსჟ

სალიჰამიჯიჩი, პაულო სერჯიო

ბაიერნი 0:0 ჰელსინგბორგი

რუსენბორგი 1:1 ბაიერნი

იერემისი

*ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა*

**მეორე ჯგუფური ეტაპი**

ბაიერნი 1:0 ლიონი

იერემისი

არსენალი 2:2 ბაიერნი

ტარნატი, შოლი

ბაიერნი 1:0 სპარტაკი

ელბერი

სპარტაკი 0:3 ბაიერნი

შოლი (2), პაულო სერჯიო

ლიონი 3:0 ბაიერნი

ბაიერნი 1:0 არსენალი

ელბერი

*ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა*

**მეოთხედფინალი**

მანჩესტერ იუნაიტედი 0:1 ბაიერნი

პაულო სერჯიო

ბაიერნი 2:1 მანჩესტერ იუნაიტედი

ელბერი, შოლი

**ნახევარფინალი**

რეალი 0:1 ბაიერნი

ელბერი

ბაიერნი 2:1 რეალი

ელბერი, იერემისი

**სულ**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16 | +11 | =3 | –2 | 23:11 |

# აიალას იოლი ელის

**უეფამ** ორშაბათს ბრძანა, რომ ჩემპიონთა ლიგის დღევანდელ ფინალს ჰოლანდიელი არბიტრი დიკ იოლი მოემსახურება.

ვფიქრობთ, ეს ამბავი განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ფაბიენ აიალასა და ჟოსელინ ანგლომასთვის. აი, რატომ:

4 აპრილს, როცა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩის სათამაშოდ „ვალენსია" ლონდონში ჩავიდა, „ჰაიბერიზე" „არსენალთან" მატჩს სწორედ იოლი წარუძღვა და ერთხელ უხეშადაც შეცდა. ანგლომა ნვანკვო კანუს ეუხეშა და იოლმა ყვითელი ბარათი... აიალას აუფრიალა. ვალენსიელები მსაჯს შემოეხვივნენ, აიალა უბრალოა ამ საქმეშიო, მაგრამ იოლი ის კაცი არაა, სიტყვას იოლად გადავიდეს.

აიალა კი რაღას იზამდა, შეეგუა, რომ ამ გაფრთხილების გამო მომდევნო თამაშის გამოტოვება მოუხდებოდა, მაგრამ მშველელად ვიდეოტექნიკა მოევლინა.

უეფას ჩინოსნებმა ამ ეპიზოდის ჩანაწერი ნახეს და ყვითელი ბარათი ნამდვილ დამნაშავეს, ჟოსელინ ანგლომას გადაულოცეს.

აქვე აღვნიშნოთ, რომ დიკ იოლი მესამე ჰოლანდიელია, ჩემპიონთა თასის ფინალის მსაჯობა რომ ანდეს. ლეო ჰორნმა 1957 და 62 წლების ფინალები განსაჯა, ხოლო ჩარლზ კორვერმა 1978 წელს „უემბლიზე" „ლივერპულს" „ბრიუგე" „დაამარცხებინა".



დიკ იოლი

## სავარაუდო შემადგენლობა

1. ოლივერ კანი, 31 წლის. მუდმივად კამათობენ, ის უფრო დიდი მეკარეა, თუ ფაბიენ ბარტეზი. მისი უმთავრესი ღირსება უსწრაფესი რეაქციაა. „ბაიერნში" 1994 წლიდანაა და გუნდის ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენს. შტეფან ეფენბერგის არყოფნაში ის კაპიტანიცაა.

2. ვილი სანიოლი, 24 წლის. სეზონის დასაწყისში „მონაკოდან" „ბაიერნში" გადასვლა მისთვის იმითაც გამოდგა წარმატებული, რომ საფრანგეთის ნაკრებში მიიწვიეს. ახალ კლუბთან შეგუება ცოტა გაუჭირდა და რამდენჯერმე საჯაროდ გამოთქვა უკმაყოფილება კლუბში არსებული ატმოსფეროს გამო.

4. სამუელ კუფური, 24 წლის. როცა არ ნერვიულობს, განელი მცველი გაუვალია, თუმცა ამ სეზონში ნერვებმა რამდენჯერმე უმტყუნა. ჰქონდა უთანხმოება კლუბთან ფინანსური საკითხების გამო. მას უთხრეს, რომ ხელფასს იმაზე მეტს ითხოვს, ვიდრე მინდორზე აკეთებს. თუმცა ნახევარფინალში „რეალის" წინააღმდეგ ერთხელაც არ შემცდარა.

5. პატრიკ ანდერსონი, 29 წლის. მისი ბოლო წამებზე გატანილი გოლი შაბათს „ჰამბურგის" კარში, „ბაიერნს" ბუნდესლიგის ჩემპიონობა რომ მოუტანა, უდიდესი მიღწევა იყო მის კარიერაში. ჩირიაკო სფორცა და იენს იერემისი უშედეგოდ ცდილობდნენ ლიბეროდ თამაშს, შვედზე უკეთ არ გამოუდით.

25. თომას ლინკე, 31 წლის. სამი წლის წინ „შალკედან" გადასული ნაკრების წევრი უგამოცდილესი ცენტრალური მცველია. სეზონის დასაწყისში კუფურის მსგავსად მასაც პრობლემები ჰქონდა ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ახლა სიტუაცია გამოსწორდა.

3. ბიქსენტ ლიზარაზუ, 31 წლის. გაფრანგებულმა ბასკმა, ვისი მომღიმარი სახეც თბილისური სარეკლამო აბრებიდანაც გვიმზერს, რამდენიმე თვის წინ ბასკ ტერორისტებს ფულის გადახდაზე უარი უთხრა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიმტერა. მინდორზე დაცვაში ბრწყინვალე თამაშის გარდა ის შეტევაშიც ხშირად ერთვება და უზუსტეს პასებსაც აკეთებს.

23. ოუენ ჰარგრივსი, 20 წლის. კანადაში დაბადებულმა ინგლისელმა შტეფან ეფენბერგის არყოფნაში „რეალთან" დიდებულად ითამაშა და სათადარიგოდან სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელად იქცა. მას უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

11. შტეფან ეფენბერგი, 32 წლის. მიონხენგლადბახის „ბორუსიადან" 1998 წელს ხელმეორედ დაბრუნებული „ბაიერნის" სახედ იქცა. ბრწყინვალე გამთამაშებელია. კლუბში ის უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს არამარტო თანაგუნდელებში, ხელმძღვანელობაშიც. „ბაიერნის" ბოსთა ქედმაღლობის გათვალისწინებით, ეს თითქმის წარმოუდგენელი ამბავია. რუდი ფიოლერს მისი ნაკრებში დაბრუნება სურდა, მაგრამ თავად იუარა.

20. ჰასან სალიჰამიჯიჩი, 24 წლის. ბოსნიელ ნახევარმცველს თავისუფლად შეუძლია თავდამსხმელობაც და შედეგს ტექნიკაზე მეტად გამძლეობით აღწევს. ბევრჯერ გაუტანია უმნიშვნელოვანესი გოლები.

9. ჯოვანი ელბერი, 28 წლის. „ბაიერნში" 1997 წელს გადასული ბრაზილიელი თავდამსხმელი იქამდე „შტუტგარტში" თამაშობდა. ის უფრო ევროპული ყაიდის ფეხბურთელია, ვიდრე ბრაზილიურისა. აქვს გოლის უტყუარი ალღო. ძალიან მეგობრულია, რამაც უდიდესი პოპულარობა მოუტანა „ბაიერნის" ქომაგებს შორის.

7. მეჰმეთ შოლი, 30 წლის. ეს ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელია დღევანდელ გერმანიაში. სწრაფი, ტექნიკური და მუდამ მოულოდნელი — მან სრულად მოირჩინა ტრავმები, რომლებიც წინა სეზონებში აწუხებდა.

**ერთი რამ თითქმის დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ — ერთი კვირის წინანდელი სანახაობის განმეორებას არ უნდა ველოდოთ, ოტმარ ჰიცფელდი და ექტორ რაულ კუპერი უზუსტესი, ლამის მათემატიკური გათვლების მოყვარული მწვრთნელები არიან და დღევანდელი ფინალი ჭადრაკის ფრთხილ პარტიას უფრო ემსგავსება.**

**ჰიცფელდი და კუპერი სხვა რამითაც გვანან ერთმანეთს — სახელი მწვრთნელობისას გაითქვეს, თორემ ფეხბურთელობაში ვარსკვლავებს სულაც არ წყვეტდნენ. და ერთიც, დღეს ორივესთვის მესამე ევროფინალია.**

# სილამაზე ტაბლოზეა!



ექტორ რაულ კუპერი



ოტმარ ჰიცფელდი

**ახლახან** ერთი ჩემი მეგობარი ძველი საფეხბურთო ჟურნალის ფურცვლისას არგენტინული „ფერო კარილის“ ფეხბურთელთა ფოტოებს წააწყდა. მათ შორის იყო ახალგაზრდა ექტორ რაულ კუპერიც, რომელიც მაშინვე გაჭაღარავებული გახლდათ...

როცა ამ ოთხი წლის წინ ექტორ კუპერმა ატლანტიკა გადმოლახა, ევროპაში არავინ იცნობდა. არადა, სამშობლოში მას უკვე ჰქონდა პატარა კლუბთა აღმზევებლის სახელი. მაგალითები გნებავთ? ინებეთ. მოკრძალებული „ზურაკანი“ არგენტინის ვიცე-ჩემპიონი გახადა და ეს იმ ჩემპიონატში, რომელშიც პირველ-მეორეობას მუდამ „ბოკა ხუნიორსი“ და „რივერ პლეიტი“ ეცილებიან. მერე კუპერი ბუენოს აირესის უსახელო „ლანუსში“ გადავიდა და იმდენი მოახერხა, კონმებოლის თასზე გაიყვანა (უეფას თასის სამხრეთამერიკული ანალოგი).

მაინც რის ხარჯზე აღწევს ექტორ რაულ კუპერი წარმატებას? ცხადია, ნიჭი და შრომისმოყვარეობა თავისას შვრება. სხვათა შორის, კუპერი ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას აკეთებდა ჩანაწერებს, რამაც დიდი სამსახური გაუწია შემდგომში. თვითონ კი ამბობს: „მე არ მჭირდება ტალანტი და ანარქია. მთავარი გუნდია. რა თქმა უნდა, გუნდში პიროვნებები უნდა იყვნენ, მაგრამ მათ ერთი მიზანი უნდა ამოძრავებდეთ. ამისთვის დისციპლინაა საჭირო. ჯერ კიდევ ბავშვობაში მივხვდი დისციპლინის აუცილებლობას. ზოგიერთებს ეს სიტყვა აფრთხობს, რაღაც სამხედრო რეჟიმის პირობები წარმოუდგენიათ. ასე სულაც არაა. დისციპლინა უამრავ დროს ზოგავს, რომელიც სხვაგვარად ფუჭად დაიხარჯებოდა და ადამიანებს მშვიდად მუშაობის საშუალებას აძლევს“.

მოკლედ, კუპერმა ატლანტიკა გადმოლახა და დაიწყო. „მალიორკამ“ სამეფო თასის ფინალში „ბარსელონასთან“ პენალტებით წააგო და რაკი „ბარსა“ ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა, კუპერი „მალიორკას“ თასების მფლობელთა თასის უკანასკნელ გათამაშებაში გაუძღვა და ფინალამდეც მიაღწია. იმავე სეზონის ბოლოს „მალიორკა“ ესპანეთში მესამე იყო.

კუპერი „ვალენსიამ“ გადაიბირა, თუმცა იქაურ მიღწევებზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს, ისედაც უამრავი რამ თქმულა.

ჩვენ მხოლოდ აი, რა ვთქვათ: არგენტინელმა „ვალენსიასგან“ ასეთი გუნდი შექმნა და ქომაგთა გულები მაინც ვერ მოიგო.

ვალენსია კარნავალების და ფეიერვერკების ქალაქია. იქ ულამაზეს სანახაობებს აფასებენ და მარიო კემპესი ახსოვთ. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, გავრცელებული და თითქმის აქსიომად ქცეული მოსაზრება, რომ ფეხბურთში მთავარი ანგარიშია, ვალენსიელებზე არ ვრცელდება. ისინი მუდამ ისეთ თამაშს ითხოვენ, როგორიც „ლივერპული“ — „ალავესი“ იყო, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რამდენად შესაძლებელია მუდამ ასეთი თამაშების ჩვენება და თან მუდამ მოგება.

ისე, ვალენსიას ჰქონდა დასამახსოვრებელი მატჩები, თუნდაც შარშანდელი „ვალენსია“ — „ლაციო“ და „ვალენსია“ — „ბარსელონა“, მაგრამ ეს უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე კუპერისეული გუნდის ჩვეულებრივი სტილი. „ვალენსია“ უფრო ჭადრაკის ფრთხილ პარტიას თამაშობს, რისი დასტურიც პრიმერადივიზიონში გატანილ-გაშვებული ბურთებია. კუპერის ბიჭებმა, მაგალითად, „ბარსელონაზე“ 23 გოლით ნაკლები გაიტანეს და ამდენივეთი ნაკლები გაუშვეს.

„მუდამ მაკრიტიკებენ — ამბობს კუპერი — ერთი პერიოდი ლიდერები რომ ვიყავით, მაშინაც უკმაყოფილონი იყვნენ. წარმომიდგენია, რას მიზამდნენ, „ვალენსია“ თამაშებს რომ აგებდეს. თუმც მე პროფესიონალი ვარ და მსგავსი რაღაცეები მუშაობის ხალისს არ მიკარგავს. უარესებიც მომისმენია და არასდროს დავნებებულვარ“.

ბოლოს ერთიც: ექტორ რაულ კუპერმა კლუბის ხელმძღვანელობას აგრძნობინა, რომ კიდევ ერთი სეზონით ვალენსიაში დარჩენას არ აპირებს.

**არცთუ** დიდი ხნის წინ „ბაიერნი“ სკანდალების ადგილი იყო, რის გამოც უწოდეს „ფკ ჰოლივუდი“. ამ დროს კლუბში გრძელლაბადიანი ჯენტლმენი მივიდა და თქვა — „აქ მე ვარ ბოსი“. მან ყველაფერი დაალაგა...

უზარმაზარი ჯარიმები ურჩთათვის და სასტარტო შემადგენლობაში ყოფნის გარანტიის არქონა — ეს ორი ხერხი გამოიყენა ოტმარ ჰიცფელდმა გერმანიის ყველაზე ტიტულოვანი და ქედმაღალი კლუბის გასახედნად. საინტერესოა, რომ როტაციის მეთოდმა ჯარიმებზე მეტად იმოქმედა — აბა, რამდენიმე ათასი მარკის დაკლება რომელი ბაიერნელის ჯიბეს დაეტყობა?

„გინდათ, რამეს მიაღწიოთ? მაშინ თითოეულ მატჩში მოგებისთვის იბრძოლეთ, რიგით ვარჯიშზეც კი“ — ეს ოტმარ ჰიცფელდის დევიზია.

ფეხბურთელ ჰიცფელდზე ცნობები ერთობ მწირია. შვეიცარიული ფეხბურთი რაა და იქაურ საშუალო დონის კლუბებში თამაშობდა. მწვრთნელობაც იქვე დაიწყო.

ათი წლის წინ, ერთ მშვენიერ დღეს, მისი ცხოვრება შეიცვალა. იგი დორტმუნდის „ბორუსიაში“ მიიწვიეს. ამ გადასვლას დიდი გამოხმაურება არც მოჰყოლია — უცნობი მწვრთნელები მიდიან და მოდიან. აბა, ვის სცალია, მათზე ბლომად მელანი ხარჯოს. მერე კი დაიწყო, 1995 და 96 წლებში დორტმუნდელებმა ზედიზედ მოიგეს ბუნდესლიგა. ამას ჩემპიონთა ლიგაც მოჰყვა.

1997 წლის მაისის იმ ოთხშაბათს ფრანც ბეკენბაუერი მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბორუსიასგან“ „იუვენტუსის“ ძლევას (3:1) უყურებდა და მაშინ გაუჩნდა აზრი — რა იქნება, ეს მწვრთნელი ჩემთან რომ მუშაობდეს.

„კაიზერ ფრანცმა“ იმდენი მოახერხა, სამხრეთ აფრიკას 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის თითქმის განაღდებული უფლება ცხვირწინ ააცალა (ამბობენ, საეჭვო მაქინაციებით) და ერთი მწვრთნელის გადაბირებას რა უნდოდა. სარფიანი გარიგება გამოდიოდა, მაგრამ ოტმარ ჰიცფელდი დაფიქრდა და... „ბორუსიაში“ სპორტულ დირექტორად გადავიდა.

ერთი წლის მერე ბეკენბაუერმა თავისი მაინც გაიტანა და ჰიცფელდი თავისთან დაიგულა. შესაძლოა, ამ ერთ წელიწადში მწვრთნელმა უბრალოდ დრო მოიგო, საკუთარი ფასი ასწია. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. გერმანული ფეხბურთის მემატიანე ამაზე დუმს.

„ბაიერნში“ გადასვლას ზედიზედ სამი ბუნდესლიგის ტიტული და „კამპ ნოუზე“ ჩემპიონთა ლიგის დაუვიწყარი ფინალი მოჰყვა, რომელზე ლაპარაკიც ახლა, ალბათ, ზედმეტია.

აქ შეიძლებოდა ბუნდესლიგის წინა და ახლანდელი ბოლო ტურებიც გაგვეხსენებინა, მაგრამ ესეც ზედმეტი უნდა იყოს.

მაღალი, გამხდარი, ელეგანტური ოტმარ ჰიცფელდი თავისუფალ დროს გოლფის მოედანზე ატარებს ან კლასიკურ მუსიკას უსმენს. სვამს მხოლოდ წყალს, დღეში სამ ლიტრამდე, თუმც მნიშვნელოვანი თამაშების მოგების მერე ორიოდე ჭიქა ღვინოზეც არ ამბობს უარს — ოღონდ მეტი არა.

დაიბადა კბილის ექიმის ოჯახში. იგი მეხუთე შვილია. დაოჯახდა 1976 წელს. მას და ბეატრისს ჰყავთ ერთი შვილი, მათიასი.

ცნობილ პიროვნებათა ამბავი ხომ მოგეხსენებათ, მუდმივად მაღალი საზოგადოების ქრონიკების სტუმრები არიან, ოტმარ ჰიცფელდის ოჯახის ფოტო კი სულ ორჯერ თუ მოხვედრილა გაზეთებში.

„მე ფეხბურთის მასწავლებელი ვარ და არა ვარსკვლავი“ — ამბობს ოტმარ ჰიცფელდი და კლუბშიც უყვართ, როცა ის ლაპარაკობს — თუ მწვრთნელი ჩუმადაა, იციან, რომ ეს კარგის ნიშანი არაა, უთუოდ ვიღაცას რისხვა უნდა დაატეხოს.

დღეს ოტმარ ჰიცფელდს შეუძლია, პირველი მწვრთნელი გახდეს, რომელმაც ორ კლუბს მოაგებინა ჩემპიონთა ლიგა.

## ურთიერთშეხვედრები

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.02.68 | ვალენსია 1:1 ბაიერნი | თ.თ. | მეოთხედფინალი |
| 13.03.68 | ბაიერნი 1:0 ვალენსია | თ.თ. | მეოთხედფინალი |
| 10.09.96 | ვალენსია 3:0 ბაიერნი | უ.თ. | პირველი ეტაპი |
| 24.09.96 | ბაიერნი 1:0 ვალენსია | უ.თ. | პირველი ეტაპი |
| 28.09.99 | ბაიერნი 1:0 ვალენსია | ჩ.ლ. | პირველი ჯგუფური ეტაპი |
| 20.10.99 | ვალენსია 1:1 ბაიერნი | ჩ.ლ. | პირველი ჯგუფური ეტაპი |

*თ.თ. — თასების მფლობელთა თასი; უ.თ. — უეფას თასი; ჩ.ლ. — ჩემპიონთა ლიგა*



1999 წლის 28 სექტემბერი. ვალენსიელი ჟოსელინ ანგლომა და ბაიერნელი ჯოვანი ელბერი

## ჩემპიონთა თასის ისტორიიდან

— ჩემპიონთა ლიგის დღევანდელი ფინალი მესამეა, რომელსაც მილანი უმასპინძლებს. პირველად, 1965 წლის 27 მაისს, „ინტერმა“ შინ 1:0 მოუგო „ბენფიკას“. მეორედ „სან სირომ“ 1970 წლის 6 მაისს უმასპინძლა „ფეიენოორდს“ და „სელტიკს“, რომელშიც ჰოლანდიელებმა დამატებით დროში 2:1 იმარჯვეს. თასის ფინალი მილანში 31 წელია, აღარ გამართულა.

— წინა 45 ფინალიდან 27-ში იმ გუნდებმა მოიგეს, რომლებმაც პირველი გოლი გაიტანეს.

— ჩემპიონთა თასის მომგები ესპანური გუნდები არიან: „რეალი“ (1956-60, 66, 98, 2000) და „ბარსელონა“ (1992). გერმანელთაგან თასი აუღიათ: „ბაიერნს“ (1974-76), „ჰამბურგს“ (1983) და „ბორუსიას“ (1997).

— ფინალში დამარცხებული ესპანური გუნდებია: „ბარსელონა“ (1961, 86, 94), „რეალი“ (1962, 64, 81), „ატლეტიკო“ (1974), „ვალენსია“ (2000). გერმანელთაგან ფინალში წაუგიათ: „აინტრახტს“ (1960), მიოხენგლადბახის „ბორუსიას“ (1977), „ჰამბურგს“ (1980) და „ბაიერნს“ (1982, 87, 99).

— ცამეტმა გუნდმა, რომლებმაც ფინალში პირველი გოლი გაუშვეს, ძირითად დროში შეძლეს მოგება. მათგან ბოლო „მანჩესტერ იუნაიტედი“ იყო, რომელმაც ორი წლის წინ 2:1 მოუგო „ბაიერნს“.

— დღეს „ვალენსიიის“ გამარჯვების შემთხვევაში დიდიე დეშამპი პირველი ფეხბურთელი გახდება, სამ სხვადასხვა გუნდთან ერთად რომ მოუგია ჩემპიონთა თასი — მარსელის „ოლიმპიკი“ (1993) და ტურინის „იუვენტუსი“ (1996). ამას გარდა ფრანგი ორი ფინალის მონაწილეცაა, 1997-98 წლებში, რომელიც „იუვენტუსმა“ წააგო.

— დიდიე დეშამპის გარდა კიდევ ორ ვალენსიელს აქვს მოგებული ჩემპიონთა თასი — მისსავე მარსელელ თანაგუნდელ ჟოსელინ ანგლომას და სანტიაგო კანისარესს 1998 წელს მადრიდის „რეალთან“ ერთად.

— დღეს „ვალენსია“ ტრადიციულ თეთრ მაისურებსა და შავ ტრუსებში ითამაშებს, ხოლო „ბაიერნი“ 70-იანი წლების დიდი გუნდის მსგავსად მთლიანად წითლად შეიმოსება.

— გამარჯვების შემთხვევაში ვალენსიელები პრემიის სახით 5.79 მილიონ დოლარს მიიღებენ, ესე იგი თითოს —280 ათასი დოლარი ერგება. მიუნხენელებმა შაბათს ბუნდესლიგის მოგებისთვის კაცზე 103 ათასი დოლარი მიიღეს და დღეს კიდევ 179 ათასით გამდიდრება შეუძლიათ.

— ჩემპიონთა თასის ფინალებში ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა გადათამაშება დაინიშნა. 1974 წელს ბრიუსელში „ბაიერნმა“ და „ატლეტიკომ“ 1:1 ითამაშეს, ხოლო ორი დღის შემდეგ გერმანელებმა 4:0 მოიგეს.

# მილიონები ჰაერში, როილი ქუჩაში, სიტი პირველში

**„მანჩესტერ სიტი“** 1998 წელს ინგლისის მეორე დივიზიონში თამაშობდა. სწორედ ამ დროს გუნდი ჯო როილმა ჩაიბარა და წლევანდელი სეზონის დასაწყისში მანჩესტერული კლუბი პრემიერლიგაშიც ალზევდა. მწვრთნელმა „სიტისთან“ ახალი, ოთხწლიანი, სამმილიონ გირვანქიანი კონტრაქტი გააფორმა და საქმესაც ბეჯითად შეუდგა. როილს სამუშაოდ იდეალური პირობები ჰქონდა, კლუბის თავკაცობამ ჯიბეზეც გვარიანად გაიკრა ხელი და „სიტი“ პრემიერლიგაში ღირსეულად საბურთაოდ მოემზადა. მაგრამ გასრულდა სეზონი და მანჩესტერელები საგაისოდ პირველ დივიზიონში აღმოჩნდნენ, ხოლო როილი უმუშევარი დარჩა.

„სიტის“ პრეზიდენტ დევიდ ბერშტეინსა და მწვრთნელს შორის საუბარი, რომელსაც როილის გადაყენება მოჰყვა, დიდხანს არ გაგრძელებულა. პრეზიდენტმა სულ რაღაც სამოც წამში მოჰფინა ყოველივეს ნათელი. ბერშტეინის პირველი მოთხოვნა როილის მეგობრისა და გუნდის მეკარეთა მწვრთნელის, ალექს სტეფნის გათავისუფლება იყო. როილი პრეზიდენტს არ დაემორჩილა მეორე ბრძანებას, შენც უნდა წახვიდეო, მწვრთნელი ასევე არ დაეთანხმა. აქ საუბარიც დამთავრდა, ბერშტეინმა როილის განუცხადა: „მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ დათხოვნილი ხართ“.

ბერშტეინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ როილის გათავისუფლება მისთვის საკმაოდ სამძიმო რამ იყო და თუმცა თავის მართლება არ სჭირდებოდა, თქვა: „როილს ყველაფერი ჰქონდა საიმისოდ, რომ გუნდი პრემიერლიგაში დარჩენილიყო. ჩვენ იგი არაფერში შეგვიზღუდავს, ხოლო ის ჩვიდმეტი მილიონი, რომელიც სატრანსფერო საქმიანობას მოხმარდა, თითქმის წყალშია გადაყრილი“.

აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ ჯო როილი ის კაცია, ვინაც „სიტიში“ მისვლისთანავე გულშემატკივართა ჯილას, ჩვენებურ გიორგი ქინქლაძეს უნდო თვალით შეხედა და მალევე გაყიდა. როილი ვერც ერთ დროს მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელს, ყოფილ მილანელ ჟორჟ ვეას შეეწყო და ლიბერიელმაც, რომელსაც ძირითადად სათადარიგოთა სკამის ხეხვა უწევდა, თავისი გზა ნახა. როილის შერისხულთა სიას კლუბის უძვირფასესი ფეხბურთელი, სამი მილიონ ექვსასი ათას ფუნტად ღირებული ვანჩოპე და ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილი კარის დარაჯი ვეივერიც „ამშვენებს“.



ჯო როილი

ვანჩოპე ხშირად გამოთქვამდა ხოლმე უკმაყოფილებას, განსაკუთრებით ტაიმებს შორის, გასახდელში. ამიტომაც იყო, რომ მეორე ტაიმს, მწვრთნელის გადაწყვეტილებით, სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს. ხოლო მეკარე ვეივერი როილმა ფრიად უცნაური მიზეზით მოიძულა. მწვრთნელმა მას თმის ახალი ფერი, ვარცხნილობა და წონა არ მოუწონა და სტოკპორტელი კარლო ნეშით შეცვალა.

**გიორგი გამარდაშვილი**

# ბარაქა, ბარლი!

**„იფსვიჩის“** მწვრთნელი ჯორჯ ბარლი გუშინწინ პრემიერლიგის წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. 16-კაციანმა ჟიურიმ, რომელშიც ფეხბურთელები, მსაჯები და ჟურნალისტები შედიოდნენ, მიიჩნია, რომ ლიგაში შარშან დაბრუნებული „იფსვიჩის“ წარმატება ამ კაცის დიდი დამსახურებაა. „მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, ბარლიმ სასურველი ფეხბურთელები შეკრიბა, დიდ და მდიდარ გუნდებს ტოლი არაფერში დაუდო და საინტერესო ფეხბურთი შემოგვთავაზა. პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში ალზევებული გუნდის ერთ წელიწადში უეფას თასზე გასვლა ამის ნათელი დასტურია“ — განაცხადა ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა.

ინგლისელმა ბარლიმ გამოკითხვაში გაუსწრო „მანჩესტერ იუნაიტედის“ ზედიზედ მესამედ გამჩემპიონებელ, შოტლანდიელ ალექს ფერგიუსონს, სამი თასისა და მესამე ადგილის მომპოვებელ ფრანგ ჟერარ ულიეს და ლიდსელი ჯეელების ირლანდიელ თავკაც დევიდ ოლირის.




ჯორჯ ბარლი



# კალაძე ხავი მორენოსაც მიაწვდის

**იტალიური** „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის თქმით, ბასკური „ალავესის“ 26 წლის ფორვარდი ხავი მორენო მას მიუნხენის „ბაიერნის“ დიდ მეგოლე გერდ მიულერს აგონებს. ხავის გოლების გატანის საოცარი უნარი აქვს და დარწმუნებული ვარ, შევჩენკო-მორენოს დუეტი მეტოქეებს დიდ თავსატეხს გაუჩენსო — სწორედ ასე ბრძანა გალიანიმ ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე.

დიახ, „მილანმა“ ახალი სეზონისთვის უკვე მესამე ფეხბურთელი შეიძინა ატალანტელების კრისტიან ძენონისა და მასიმო დონატის შემდეგ, ორშაბათს უეფას თასის ფინალისტის, „ალავესის“ აწ უკვე ყოფილმა თავდამსხმელმა „მილანთან“ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე“ „ლივერპულისთვის“ ორი გოლის გამტანი ხავი მორენოს სანაცვლოდ მილანელებმა ვიტორიელებს 7 მილიონ 690 ათასი დოლარი გადაუხადეს, ყოველწლიურად კი ბასკი მილიონნახევარს ჩაიჯიბავს.

მოვლენები კი ელვის სისწრაფით განვითარდა. ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ხავი მორენომ შაბათს „ბარსელონას“ წინააღმდეგ ითამაშა, ორშაბათს კი უკვე მილანში გადაფრინდა, მილანელოს მედპუნქტში სამედიცინო შემოწმება გაიარა და სალამოს ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ესეც ასე. მილანელთა ბაქიობა, შევჩენკოს თავდასხმაში რივალდოს, ჟარდელს, ელბერს, ვიდუკას ან ანელკას შევუწყვილებთო, წყლის ნაყვა გამოდგა. „მილანს“ ესპანეთის პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე შერჩა ხელთ. ერთი კი ნაღდია, ხავი მორენოს გოლების გატანა ნამდვილად ეხერხება.

ბოლოს კი გკითხავთ, ვის გაუხარდებოდა ხავი მორენოს „მილანში“ გადაბარგება? ცხადია, ხოსე მარის, „მილანის“ ესპანელმა თანამემამულეზე მოკლედ თქვა: „ხავი მორენო? დიდებულია“...

**გიორგი გუგაძიძე**

# ტაილერის კლიენტი

**დევიდ ბექემი** ინგლისის ნაკრების კაპიტანია, ტაილერ ჯონსტონი კი მისი დალაქი. რობერტ დე ნირო მსახიობია, მარტინ სკორსეზე კი რეჟისორი. „ტაქსისტი“ 1976 წლის ფილმია, ტრევის ბიკლი კი მისი მთავარი გმირი. ტრევისი ვიეტნამის ომის შერყეული ვეტერანია, ბექემი კი ინგლისის ნაკრების კაპიტანი...

ბექემმა ნახა „ტაქსისტი“, მოეწონა დე ნიროს ვარცხნილობა, მივიდა ტაილერთან და ამანაც უარი ვერ უთხრა. მერე მივიდა ბექემი „ოლდ ტრეფორდზე“, გასახდელში ალექს ფერგიუსონი შეხვდა, ამიტომ საღამოს ისევ ტაილერთან დაბრუნდა და ამანაც უარი ვერ უთხრა.

ეს სეზონის დასაწყისში იყო. სერ ალექსმა ერთი გახედა და წყნარად ჰკითხა: როდის აპირებ გადაპარსვას?

ახლა სეზონი დამთავრდა. სერ ალექსი შვებულებაშია, ამიტომ ბექემი კვლავ მივიდა ტაილერთან და ამან უარი ვერ უთხრა.

მაგრამ არსებობს ეჭვი, რომ შევა სვენ გორან ერიკსონი გასახდელში და წყნარად ჰკითხავს...

და ტაილერი ისევ იხეირებს.



1997



1998



2000



2001

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „ლაციო“ „ფიორენტინას“ 23 წლის მარჯვენა მცველით ალესანდრო პიერინითაა დაინტერესებული. პიერინიმ ამ სეზონში სერია A-ში 29-ჯერ ითამაშა და ბობოლა კლუბების დაინტერესებაც გამოიწვია.

**ბერძნული** „პანათინაიკოსის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი ანგელოს ანასტასიადისი, თავის ყოფილ გუნდს სალონიკის „ირაკლისს“ დაუბრუნდა. კლუბის განცხადებით ანასტასიადისი, რომელსაც „ირაკლისი“ უეფას თასზე გაუყვანია, მომავალ სეზონიდან დაიწყებს მუშაობას. ანასტასიადისი „პანათინაიკოსიდან“ ამ წლის თებერვალში გაუშვეს, ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგების გამო.

**იტალიური** მილანის „ინტერის“ წარმომადგენელი ტერანეო, რომელიც ადრე „ლაციოს“ გენერალური მენეჯერი იყო სერჯო კრანიოტის შეხვდა და ხუან სებასტიან ვერონის „ინტერში“ შესაძლო გადასვლაზე ელაპარაკა, თუმც კრანიოტის თქმით ვერონის ტრანსფერზე მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ შეიძლება ლაპარაკი.

**ესპანეთის** ნაკრებისა და ვიგოს „სელტას“ მცველ ხუან ველასკოსთან და მილანის „ინტერის“ არგენტინელ ნახევარმცველ ხავიერ ძანეტისთან „ბარსელონა“ აწარმოებს მოლაპარაკებებს. გალისიური კლუბი კატალონიელთა ახალგაზრდა მოთამაშის სერხიო სანტამარიას შეძენითაა დაინტერესებული და არ გამორიცხავენ, რომ კლუბებმა ეს ფეხბურთელები გაცვალონ. თავად ველასკო აცხადებს, რომ მისთვის „ბარსელონაში“ თამაში საოცნებოა და შეეცდება, რათა ახალი სეზონი „კამპ ნოუზე“ დაიწყოს. „ინტერის“ ნახევარმცველ ძანეტი კი, როგორც ცნობილია, „ბარსელონას“ მუდმივი მოქიშპე, მადრიდის „რეალსაც“ სათავისოდ შეუგულებია.

**იტალიელმა** მცველმა მორენო ტორიჩელიმ ტრავმის გამო შესაძლოა ამ სეზონში ველარ ითამაშოს. ექიმები დანამდვილებით აცხადებენ, რომ ფეხბურთელი იტალიის თასის ფინალში „პარმას“ წინააღმდეგ მონაწილეობას ვერ მიიღებს. „ფიორენტინა“ მარსელის „ოლიმპიკის“ ნახევარმცველ ლუკას ბერნარდით დაინტერესდა და თანახმაა, მის სანაცვლოდ 4 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. 23 წლის ბერნარდი „მარსელში“ ერთი სეზონია, თამაშობს, მანამდე კი იგი არგენტინული „ნიუელს ოლდ ბოიზის“ ღირსებას იცავდა.

**გერმანულმა** „ლევერკუზენმა“ ახალგაზრდა ავსტრიელი ფეხბურთელი, ემანუელ პოგატეცი შეიძინა. 18 წლის მცველი ავსტრიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია და ბოლო ერთი სეზონია, „კაერნტენში“ თამაშობს. ეს კლუბი წლეულს ავსტრიის უმაღლეს დივიზიონში ალზევდა და პოგატეცმა ამაში დიდი წვლილი შეიტანა. ავსტრიელი „ლევერკუზენში“ მომავალ სამ სეზონს დაჰყოფს, ბუნდესლიგელებმა კი მის სანაცვლოდ მილიონი დოლარი გადაიხადეს. კონტრაქტში გათვალისწინებულია, რომ თუ ახალგაზრდა მცველი ბუნდესლიგაში გარკვეული რაოდენობის მატჩებს ჩაატარებს, „კაერნტენი“ კიდევ დამატებით თანხას მიიღებს.

**ფრანგულ** მარსელის „ოლიმპიკს“ „იუვენტუსის“ ორი წამყვანი მოთამაშის — ჩირო ფერარასა და ანტონიო კონტეს შეძენა სურს. ტურინული კლუბიც თანახმაა, ფეხბურთელები გაუშვას და თითოეულის სანაცვლოდ 3 მილიონ გირვანქას ითხოვს, თუმცა ფრანგებს სატრანსფერო თანხა ეძვირებათ და ახლა იტალიელებთან მორიგებას ცდილობენ. ცნობისთვის: ფერარაც და კონტეც „იუვენტუსში“ „ნაპოლიდან“ მოხვდნენ. ნეაპოლურ კლუბში ორივე მათგანს 1990 წელს იტალიის ჩემპიონატი მოუგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის თასი. ფინალი

# შავი პანტერა სენ დენიში



REUTERS

დარენ გერფორტი, ნილ ბეკი და ბენ კეი ევროპის თასის ხელში ჩაგდებას გაუხარებიათ

სენ დენი. „სტად დე ფრანსი"
45 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სტად ფრანსე (საფრანგეთი) | 30 |
| ლესტერი (ინგლისი) | 34 |

სტად ფრანსე: 9ს. და 1ა: დომინგესი
ლესტერი: 3ლ: ლოიდი (2), ბეკი; 2გ. და 5ს: სტიმპსონი
მსაჯი: მაკპიუ (ირლანდია)

**სამჯერ** გადაკვეთა მან მთელი მოედანი ბურთით ხელში და სამჯერვე ლელო მიითვალა „ლესტერმა" — ორჯერ თავად გამოიჩინა თავი და ერთხელ თანაგუნდელს დაალელოვებინა ფრანგები.

ინგლისელთა შუამარბი ლეონ ლოიდი პარიზელთა ჯალათი გახდა შაბათს საღამოს ევროპის თასის ფინალში. „ვეფხვების" მე-13 ნომერმა, 23 წლის მორაგბემ ლამის მარტომ გადაწყვიტა მატჩის ბედი. სწორედ მან გაიტანა უკანასკნელ წუთებზე გამარჯვების ლელო, როცა ფრანგები სამი ქულით იყვნენ წინ და თასიც უკვე თავისი ეგონათ.

ამ დროს „შავმა პანტერამ" შერკინების ნახევარმცველის, ოსტინ ჰილის მშვენიერი გარღვევა დააგვირგვინა და მეტოქის ლელოს მარჯვენა კუთხეში ცალი ხელით დაამიწა ბურთი და...

მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე, როცა „ლესტერი" 9:15 აგებდა, სწორედ ლოიდი იყო, თავის თანაგუნდელებს თამაშის ხალისი რომ დაუბრუნა. მისი დრიბლინგი შეხვედრის პირველი ლელოთი დასრულდა. ლოიდმა მილოცვებზე დრო არ დაკარგა, თანაგუნდელებს სიჩუმის ნიშანი მისცა, თითქოს ჯერ არაფერია გადაწყვეტილიო. მართალიც იყო, ფრანგები თასის დანებებას არ აპირებდნენ და ისევ დაწინაურდნენ თავიანთი უზუსტესი დამრტყმელის, დიეგო დომინგესის საჯარიმოებით.

მე-60 წუთზე ისევ ლოიდის გარღვევა. პარიზელებმა მისი შეჩერება უკანასკნელ წამს შეძლეს, მაგრამ ინგლისელთა ფრთა ნილ ბეკმა შეძლო ლელოს გატანა და ანგარიშიც გათანაბრდა — 21:21. მსაჯის საფინალო სასტვენს ორი წუთი აკლდა, დომინგესმა არეკნი რომ შეაგდო და ფრანგებს თასიც უკვე თავისი ეგონათ, მაგრამ „შავი პანტერა" თანახმა არ იყო და...

**გაგი გურული**

ზე-12. ნახევარფინალი

# ერთი ზვიგენის ლომის წილი

**კანბერა 30:6 ბრისბენი**
კანბერა: 3ლ: მორტლოკი, ფინეგანი, პოლი; 3გ და 2ს: უოლკერი; 1ა: ლარკემი
ბრისბენი: 2ს: ფლეტლი, დრემი

**დურბანი 30:12 იოჰანესბურგი**
დურბანი: 5ლ: ფან რენსბურგი (2), ჰალსტიდი, ტერბლანში, ბრიცი; 1გ და 1ს: ჯეიმსი
იოჰანესბურგი: 4ს: კოენი

**ზე-12-ის** ჯგუფური ტურნირი თუ მოულოდნელად დამთავრდა და საუკეთესო ოთხეულში ვერც ერთი ახალზელანდიური გუნდი ვერ მოხვდა, სამაგიეროდ, ნახევარფინალები ლოგიკის თანახმად დასრულდა და ორივე მასპინძელი ფინალში გავიდა. ორივე მატჩში თანამემამულეები გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ავსტრალიაში შეხვედრა უფრო ადრე გაიმართა, რაც სასაათო სარტყლების თავისებურების ბრალია. ამიტომაც სამხრეთაფრიკული თამაში ბოლოსთვის მოვიტოვოთ.

კანბერამ იოლად კი გაიმარჯვა, მაგრამ პირველ ტაიმში ძალიან გაუჭირდა. თავიდან მასპინძლებმა ვერაფრით მოიპოვეს ბურთი და ლელოს გაშვებამდე ნახევარი ნაბიჯილა აშორებდათ, მაგრამ დაცვამ, რაც „რაშების" უძლიერესი მხარეა, ივარგა და ხიფათიც გააუვნებლა. ანგარიში მაინც ბრისბენმა გახსნა, როცა ელტონ ფლეტლიმ ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. შეხვედრა ძალიან დაძაბული და ამავე დროს უხეშიც იყო. სამხრეთაფრიკელი მსაჯი ჯონათან კაპლანი ძლივს აწყნარებდა მორაგბეებს. პირველ ტაიმში კი მას ოუენ ფინეგანის ყვითელი ბარათით დასჯამაც მოუწია, როცა ამ უკანასკნელმა მაიკლ ფოლი კინაღამ ხეიბარი გახადა. წესით ფინეგანი 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციით უნდა დაისაჯოს და ტურნირის ფინალში ვერ ითამაშოს.

რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილი მეტოქე „ქვინზლენდელმა წითლებმა" მაინც ვერ გატეხეს, არადა, ინიციატივა მთლიანად მათ ხელში იყო. სტუმრები ერთადერთი ჯარიმას გამორჩნენ, რომელიც ფლეტლის შემცვლელი შონ დრემის ანგარიშზეა. ტაიმის მიწურულს კი მასპინძლები გააქტიურდნენ და ჯორჯ გრეგანის დახმარებით სტირლინგ მორტლოკმა დაალელოვა კიდეც ბრისბენი. გარდასახვა ენდრიუ უოლკერმა შეასრულა, ვინაიდან მორტლოკს მხარი სტკენოდა და, სავარაუდოდ, ვერც ის გამოვა ფინალში. ტაიმიც ასე დამთავრდა — 7:6.

თუკი პირველ ორმოცწუთეულში მატჩი დაძაბული იყო, შესვენების შემდეგ მინდორზე მხოლოდ ერთი გუნდიღა ჩანდა. ორი ლელო, 23 ქულა, არც ერთი ქულა მეტოქეს, აი, რა უქნეს „რაშებმა" „წითლებს". ფინეგანმა დანაშაული ნაწილობრივ გამოისყიდა ლელოთი, ჯერემი პოლის ლელომ კი სტუმრებს ყოველგვარი იმედი გადაუწურა. უოლკერმა და ლარკემმაც მიითვალეს ქულები და კანბერა ზედიზედ მეორედ გავიდა ფინალში.

იოჰანესბურგი კი ზედიზედ მეორედ გამოვარდა ნახევარფინალიდან. „კატებს" ამჯერად „ზვიგენები" მოერივნენ, შარშან კი ისინი სწორედ „რაშებმა" დაამარცხეს. დურბანმა იმდენივე ქულა გააკეთა, რამდენიც მისმა მომავალმა მეტოქე კანბერამ, ოღონდ მისგან განსხვავებით ორჯერ მეტი გაუშვა. მატჩის გმირად შეიძლება მასპინძელთა გარე ნახევარმცველი ბაჩ ჯეიმსი შევრაცხოთ, რომელმაც ხუთიდან სამ ლელოში ლომის წილი დაიდო.

რუდოლფ სტრაუელის შეგირდებმა ფაქტობრივად პირველივე ტაიმში გაინაღდეს გამარჯვება, რადგან სწორედ შესვენებამდე გაიტანეს ოთხი ლელო, თუმცა მათგან ერთიც ვერ გარდასახეს. მეორე ნახევარში იოჰანესბურგმა ჩამორჩენა 8 ქულამდე შეამცირა ლუის კოენის ზუსტი საჯარიმოების წყალობით, მაგრამ მეტის გაკეთება ველარ მოახერხა. ურენ ბრიცის ლელოს ჯეიმსმა გარდასახვა და საჯარიმო დაურთო და მეტოქეს ისევ უსაფრთხო მანძილით დააშორა თავისიანები.

„ვფიქრობ, უძლიერესმა გაიმარჯვა" — აღიარა მატჩის შემდეგ იოჰანესბურგის კაპიტანმა იოჰან ერასმუსმა.

**გაგი გურული**

| ფინალი. 26 მაისი |
|---|
| **კანბერა — ბრისბენი** |



კანბერა — ბრისბენი. ჯერემი პოლი გაფრინდა და ბრისბენი მესამედ დაალელოვა

შვიდკაცა. მსოფლიოს სერია

# ჯიმშელაძე და იაშვილი სერიალს დააკლდნენ

## ჯერ ლონდონში, მერე კარდიფში

**ქართველი** მოშვიდკაცეები ამსტერდამიდან საფრანგეთში თავ-თავის კლუბებს დაუბრუნდნენ, თუმც იქ ყოფნა დიდხანს არ მოუწევთ: შაბათს საქართველოს შვიდკაცა ნაკრები დიდ ბრიტანეთს ეწვევა და „მსოფლიო სერიაში" შემავალ ორ ტურნირზე ითამაშებს.

პირველად ჩვენი მორაგბეები ლონდონის ტურნირზე იასპარეზებენ. ქართველები წილისყრით A ჯგუფში მოხვდნენ ახალი ზელანდიის, კანადისა და რუსეთის ნაკრებ გუნდებთან ერთად. შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლებას ორი საუკეთესო გუნდი მოიპოვებს. ტურნირი სამ დღეს გასტანს. ფინალი და სხვა საპრიზო ადგილებისათვის მატჩები კი 28 მაისს გაიმართება.

ლონდონიდან სორელი და მისი რაზმი უელსის უპირველეს ქალაქ კარდიფს მოინახულებს. კარდიფში ქართველები ორ დღეს დაჰყოფენ. ამთავითვე ცნობილია ჩვენი მეტოქეები. C ჯგუფში ბორჯღალოსანთა გარდა საკმაოდ სოლიდურმა კომპანიამ მოიყარა თავი. მეოთხედფინალის ორი საგზურისთვის ჩვენებურებთან ერთად შვიდკაცას ჯადოქრები — ფიჯის ნაკრები, ინგლისისა და ესპანეთის გუნდები იბრძოლებენ.

ბორჯღალოსანთა საბრიტანეთო შემადგენლობა ჯერ ცნობილი არ არის. ერთი რამის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება. გაერთიანებულ სამეფოში ნაკრებს ვერაფრით დაეხმარებიან პალიკო ჯიმშელაძე და გრეგუარ იაშვილი. ორივე ეს მორაგბე საფრანგეთში დარჩება და თავიანთ კლუბებში ჩემპიონატის მატჩებში მიიღებს მონაწილეობას. შეგახსენებთ, რომ ჯიმშელაძის „კასტრი", რომელშიც კიდევ ერთი ქართველი, ლევან ცაბაძე ირიცხება, ჩემპიონობისთვის იბრძვის, ხოლო იაშვილის „ლა ტესტს" „ნაციონალ 1"-დან „ელიტ 2"-ში ასაზევებლად მნიშვნელოვანი მატჩები ელის.

**ბაჩო სვანიძე**

# ერთი საგზური და უცნობი განრიგი

**ხვალ** დილით, ახალშექმნილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები რუმინეთისკენ აიღებს გეზს. ახალგაზრდა ბორჯღალოსნები გაისად გასამართ მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში ჩაებმებიან.

შეჯიბრება რუმინეთის ზღვისპირა ქალაქ კონსტანცაში მოეწყობა. ჩვენებურების გარდა მსოფლიოს სარაგბო ფორუმის საგზურისთვის მასპინძელი რუმინეთის, უკრაინისა და იუგოსლავიის ნაკრებები იბრძოლებენ.

ქართველი მორაგბეები პირველ მეტოქეს ზეგ დაუპირისპირდებიან, ოღონდ ვის, ჯერ უცნობია. ჩვენი მოწინააღმდეგე ხვალ გაირკვევა, როდესაც ორგანიზატორები კენჭისყრას მოაწყობენ. ჯგუფიდან კი შემდეგ ეტაპზე მხოლოდ ერთი საუკეთესო გუნდი გადის.

ჯერჯერობით უცნობია ისიც, თუ ვინ უმასპინძლებს 2002 წლის მსოფლიოს თასის ფინალურ ტურნირს. ეს ამბავი ზამთარში, IRB-ის (რაგბის საერთაშორისო საბჭო) სხდომაზე გაირკვევა, როდესაც მსოფლიოს თასის მასპინძლობის მსურველი ქვეყნები თავიანთ კანდიდატურებს წარადგენენ. მსოფლიოს რაგბის მამებიც იმსჯელებენ და სასურველ ქვეყანას დაასახელებენ.

ჩვენი ახალგაზრდები ამ შეჯიბრისთვის მწვრთნელთა ტრიოს — დიმიტრი ფულარიას, დავით ჩავლეიშვილისა და რევაზ ჯაფარაშვილის მეთვალყურეობით ემზადებოდნენ. ნაკრებმა შეკრება ბათუმში გაიარა. იქ მორაგბეებს ნორმალური პირობები ჰქონდათ ნაყოფიერი ვარჯიშისთვის. პარალელურად კი ადგილობრივ „დათვებთან" ერთი საკონტროლო მატჩიც გამართეს. მართალია, ახალგაზრდა ბორჯღალოსნები დამარცხდნენ, მაგრამ მწვრთნელები მათი თამაშის ხარისხით კმაყოფილნი დარჩენილან. საბოლოოდ კი ბათუმშივე გაირკვა ის 22 მორაგბე, ვინც რუმინეთში საქართველოს ღირსებას დაიცავს: *აკაკი სანაძე, დათო ხინჩაგაშვილი, დათო დადუნაშვილი, ლევან ლვაბერიძე, ანზელი ალიბეგაშვილი, გიორგი ჩხაიძე, გიორგი წიკლაური, დიმიტრი პავლოვი, გიორგი გუნდიშვილი, შოთა საყვარელიძე, ბექა ყურაშვილი, ზაზა ვალიშვილი, გიორგი ქოპილაშვილი, გიორგი კაჭარავა, ლადო ავლოხაშვილი, ირაკლი გიორგაძე, გიორგი ტრაპაიძე, ირაკლი მაჩხანელი, ლექსო გუგავა, კახა ელოშვილი, დათო მხეიძე, ზვიად კობერიძე*.

ახალგაზრდული ნაკრების ძირითად ბირთვს ის მორაგბეები შეადგენენ, რომლებიც წლეულს ჩილეში გამართულ ჭაბუკთა მსოფლიოს თასის „B" ჯგუფის ჩემპიონები გახდნენ და ელიტის საგზური მოიპოვეს. თანაც ამ მორაგბეებს ასაკიც ხელს უწყობს, რათა გაისად ახალგაზრდებს შორის გასამართ მსოფლიოს თასზე იასპარეზონ.

**ბაჩო სვანიძე**

# პატარა ტურნე დიდ ბრიტანეთში

კარდიფი

**უელსი 38:40 ბარბაროსები**
უელსი (სასტარტო შემადგენლობა): მორგანი, მ. ჯონსი, მ. ტეილორი, ს. ჯონსი, შ. უილიამსი; ნ. ჯენკინსი, ჰაული; ი. ტომასი, მაკბრაიდი, იანგი (კაპ.), კ. ქვინელი, ე. მური, ჩარვისი, გ. ლუისი, მ. უილიამსი
5 ლ: ნ. ჯენკინსი, მორგანი (2), შ. უილიამსი, კ. ქვინელი; 5 გ: ნ.ჯენკინსი (2), ს. ჯონსი (3); 1 ს: ს. ჯონსი
ბარბაროსები (სასტარტო შემადგენლობა): მონტგომერი, ლაგერი, ლითლი, მეგსი, ვიდირი; ფან სტრაატენი, ფან დერ ვესტჰოიზენი; პეიგელი, ლეოტა, დაუდი, ბოუმენი, ჯონსი, კლარკი, კრონფელდი, ტაიხმანი (კაპ.)
6 ლ: ლაგერი, ვიდირი, ლომბარი (2), დროცკი, მონტგომერი; 5 გ: ფან სტრაატენი
მსაჯი: მორისონი (ინგლისი)

**დიდბრიტანული** მინი-ტურნეს პირველ მატჩში ბარბაროსებმა „მილენიუმის" სტადიონზე უელსელები დაამარცხეს. გამარჯვების მომტანი გოლი სამხრეთაფრიკელმა ბრაამ ფან სტრაატენმა შეაგდო, როცა თავის თანამემამულე ფრიდრიხ ლომბარის მეორე ლელო გარდასახა მატჩის მიწურულს. არადა, ტაიმის 7:14 წამგებმა მასპინძლებმა შესვენების შემდეგ დიდი თავგანწირვით ითამაშეს და მოგებასაც ნამდვილად იმსახურებდნენ.

ახალზელანდიელი გრემ ჰენრის გაწვრთნილმა მასპინძლებმა მეორე ორმოცწუთეულში თითქოს შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და კრეიგ ქვინელისა და შონ უილიამსის ლელოებს კევინ მორგანმა ორიც თავისი რომ დაუმატა, 38 500 მაყურებელს გამარჯვება დაბევებული ეგონა, მაგრამ ბობ დვაიერის დროებითმა გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და ანგარიშიც გაათანაბრა. ფან სტრაატენმა კი ლამის აუტის ხაზიდან შეაგდო გამარჯვების მომტანი გარდასახვა.

მომდევნო მატჩს ბარბაროსები, რაც მსოფლიოს ნაკრებია, ხვალ გამართავენ ედინბურგში შოტლანდიის წინააღმდეგ, ტურნეს კი 27 მაისს დაასრულებენ თვიქენემში ინგლისთან შერკინებით.

**ბაჩო სვანიძე**

სლოვენია

# სლოვანს ბრინჯაო ხელში ადნება

| პლეი ოფი | |
|---|---|
| მესამე ადგილისთვის (ორ მოგებამდე) | |
| სლოვანი | 0 |
| პივოვარნა | 1 |

**სლოვანი 73:85 პივოვარნა**

სლოვანი: ნოვაკი (12), ლაკოვიჩი (15), ტაკელი (7), ტუღუში (16 წუთი, 1 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), უგრეხელიძე (29 წუთი, 14 ქულა, 9 მოხსნა, 1 ჩაჭრა), კოვაჩი (2), პავიჩი (4), ბოისა (18 წუთი, 1 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), მარავიჩი (8), კოკალი, ცქიტიშვილი (20 წუთი, 9 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი)

პივოვარნა: იურაკი (11), მილეტიჩი (2), ბაირამოვიჩი, ლისიცა (20), ერცენი (2), უდრიჰი (14), დუშაკი (17), ბროლიჰი, დრაგშიჩი (12), ტილინგერი, ოვჩინა (2), ნაკიჩი (6)

**სლოვენიაში** საცაა დასრულდება საკალათბურთო ჩემპიონატი. გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, თუ ვინ რომელ საპრიზო ადგილს დაიკავებს. უმაღლესი ჯილდოსთვის „ოლიმპია“ „კრკას“ შეერკინება, ხოლო ჩვენთვის საინტერესო ლიუბლიანის „სლოვანს“ ბრინჯაოს მოსაპოვებლად ანალოგიური სერიის შარშანდელ მეტოქესთან, ლაშკოს „პივოვარნასთან“ უწევს ჭიდილი.

შარშან ამ გუნდების დაპირისპირება „პივოვარნას“ გაპრიზიორებით დასრულდა და ცხადია, „სლოვანი“ რევანშისთვის იყო განწყობილი. დედაქალაქელებმა ამ სეზონში იმდენჯერ დაამარცხეს მეტოქე, რამდენჯერაც შეხვდნენ. აქედან გამომდინარე, ისინი პირველ მატჩში თავიანთ მოედანზე იოლ გამარჯვებას გეგმავდნენ. სწორედ ზედმეტმა თავდაჯერებულობამ და მეტოქის რეალური ძალის შეუფასებლობამ ათქმევინა მასპინძელთა მწვრთნელ ტომო მაჰორიჩს ნამატჩევს შემდეგი სიტყვები: „ეს სეზონში ჩვენი ყველაზე ცუდი თამაში იყო“.

წინა მატჩებისგან განსხვავებით, ამ შეხვედრაში მონაწილეობდა კოტე ტუღუში. მან მოედანზე 16 წუთი დაჰყო, მაგრამ მის თამაშს, ისევე როგორც მთელი გუნდისას, შედეგიანს ვერ უწოდებ. მის ანგარიშზე საბოლოოდ მხოლოდ ერთი ზუსტად შესრულებული საჯარიმოა. ვერც წინა თამაშში გამორჩეული ვლადიმერ ბოისა იყო მოწოდების სიმაღლეზე. მისმა მონაგარმაც მხოლოდ ქულა შეადგინა. ნიკა ცქიტიშვილმა მოედანზე მატჩისთვის განკუთვნილი დროის ზუსტად ნახევარი გაატარა და შედარებით მეტი — 9 ქულა მიითვალა. ჩვენი ლეგიონერების უსახური თამაში ნაწილობრივ გააქარწყლა დავით უგრეხელიძის შედარებით კარგმა გარჯამ. მან 29 წუთის განმავლობაში 14 ქულა მოაგროვა და ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი იყო თავის გუნდში.

დებიუტი ისეთივე წარუმატებელი იყო „სლოვანისთვის“, როგორც მთლიანად მატჩი. დასაწყისშივე სტუმრებმა ზედიზედ ხუთი სწრაფი შეტევა ილბლიანად დააგვირგვინეს და საგრძნობლადა დაწინაურდნენ. აქედან მოყოლებული მასპინძლები მთელი თამაში მდევრის როლში იყვნენ. მათ მხოლოდ ერთხელ, მატჩის შუაწელში მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ თავიანთ გამარჯვებაში ზედმეტად დარწმუნებულებმა ინიციატივა ხელთ ვერ იგდეს. მხოლოდ დაცვაში კარგმა თამაშმა ვერ უშველა „სლოვანს“. ისინი შეტევაში ძალიან სცოდავდნენ, მარტო ფარქვეშიდან 13 ბურთი ვერ ჩააგდეს.

მასპინძლები ვერც საჯარიმო ხაზიდან გამოირჩეოდნენ სიზუსტით, სროლების მხოლოდ 55 პროცენტი მოათავსეს კალათში და საბოლოოდ 73:85 დამარცხდნენ.

მატჩის შემდეგ მასპინძელთა მწვრნელი თავისი გუნდის შეტევით ერთობ უკმაყოფილო იყო. მისი თქმით, ასეთი წინა ხაზით მომავალ შეხვედრაში წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ამ წაგებით „სლოვანმა“ თავი მეტად რთულ მდგომარეობაში ჩაიგდო, რადგან შემდეგი თამაშის გამართვა სტუმრად, ლაშკოში უწევს და მარცხის შემთხვევაში ბრინჯაოს „პივოვარნას“ გადაულოცავს.

**ირაკლი ბერტაია**

თურქეთი

| პლეი ოფი | |
|---|---|
| მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე) | |
| ეფესი | 3 |
| ბეშიქთაში | 0 |
| **ბეშიქთაში 66:86 ეფესი** | |
| დარუშაფაკა | 3 |
| ტროი | 0 |
| **ტროი 93:98 დარუშაფაკა** | |
| ტელეკომი | 2 |
| ფენერბაჰჩე | 2 |
| **ფენერბაჰჩე 95:89 ტელეკომი** | |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

NBA. კონფერენციების ფინალი (ოთხ მოგებამდე)

# ჩემპიონი ჩემპიონია?



REUTERS

ანტონიო დანიელსი (მარცხნივ) და ლეიკერსელი რიკ ფოქსი ბურთისთვის ბრძოლისას ერთმანეთს შეასკდნენ

| დასავლეთი | |
|---|---|
| 21 მაისი | |
| სან ანტონიო | 0 |
| ლეიკერსი | 2 |

**სან ანტონიო 81:88 ლეიკერსი**

სან ანტონიო: დანკანი (40 ქულა, 15 მოხსნა), დანიელსი (24)

ლეიკერსი: ბრაიანტი (28), ონილი (19 ქულა, 14 მოხსნა), ფიშერი (16)

„ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ მომაბეზრებლად ერთფეროვანი გუნდია. ის მხოლოდ იგებს, თან არა აქვს მნიშვნელობა, მის ლიდერებს გამოუვათ თუ არა თამაში, მწვრთნელთან ერთად თუ უმისოდ. უგებს ყველას და ყველგან. „ლეიკერსს“ არ წაუგია აპრილის დასაწყისიდან. მოქმედ და იქნებ მომავალ ჩემპიონთა ყულაბაში უკვე ზედიზედ 17 გამარჯვება დაგროვდა, თან არ დაგავიწყდეთ, აქედან ცხრა პლეი ოფისაა. საინტერესოა, ვინმე მოახერხებს, თუნდაც ერთი გამარჯვება დასტყუოს „ლეიკერსს“? იქნებ დაფნის გვირგვინი წინასწარ დაედგათ ლოსანჯელესელებისთვის?

სან ანტონიოში „ლეიკერსის“ ზედიზედ მეორე გამარჯვების შემდეგ ძნელია იფიქრო, რომ ჩემპიონი სხვა გახდება. შარშანდელ ტრიუმფატორთა უმთავრეს კონკურენტად სწორედ „სან ანტონიო სფურზი“ ითვლებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა აშკარად გაუცრუა იმედები ყველას, მოედნის უპირატესობა დაკარგა და საერთოდ, ვინ იცის, ჩემპიონის ბედი იქნებ „სან ანტონიოს“ „ალამოდოუმში“ ჩატარებულმა ორმა თამაშმა გადაწყვიტა.

„სან ანტონიო“ ამჯერად ბევრად უკეთ გაისარჯა დაცვაში. მასპინძლებმა ასე თუ ისე შებოჭეს სტუმართა ლიდერები — კობი ბრაიანტი და შაკილ ონილი და მათ ჯამში 47 ქულა ჩააგდებინეს, რაც 26 ქულით ნაკლებია წინანდელზე, თუმც ტეხასელებს ვერც ამან უშველა. ამასთან, ამ დუეტის გარდა „სფურზის“ კალათს ბევრი სხვა სტუმარიც აოხრებდა. გამთამაშებელმა დერიკ ფიშერმა 16 ქულა გაილო, ფრთა რიკ ფოქსმა — 11, სათადარიგო რობერტ ჰორიმ კი ორი მნიშვნელოვანი სამქულიანი გაუხერხა სტუმრებს. გარდა ამისა, კრიტიკულ სიტუაციაში ონილმა და ბრაიანტმა მაინც იმარჯვეს და „სან ანტონიოს“ კვლავ მარცხი შერჩა ხელში.

არადა, ამჯერად თითქოს მასპინძლებს უნდა ემარჯვათ. მართალია, „სფურზის“ ღვაწლმოსილმა ცენტრმა დევიდ რობინსონმა მხოლოდ ცხრა ქულა მიითვალა, მაგრამ „ადმირალს“ იმ დღეს გაცილებით მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა, შაკილ ონილი უნდა შეეჩერებინა და მოახერხა კიდეც — შაკმა მიმდინარე პლეი ოფში პირველად ვერ მოიხვეჭა ორი ათეული ქულა. ვერც წინა თამაშში ნაჯაფარი ბრაიანტი ბობოქრობდა და „სან ანტონიომ“ პირველ ნახევარში სოლიდური უპირატესობა და გამარჯვების ილუზია შეიქმნა. შესანიშნავად ირჯებოდა მასპინძელთა ლიდერი ტიმ დანკანი, რომელმაც მეორე მეოთხედში სულ აიწყვიტა და 17 ქულა მოინაგრა. „სან ანტონიოც“ ერთი ხანობა 14 ქულით მოსწყდა მეტოქეს, ტაიმი კი რვა ქულით მოიგო.

საერთოდ, ტიმ დანკანმა სულ 40 ქულა გააკეთა, რაც მის საპლეიოფო კარიერაში სარეკორდოა, თუმც მეორე ნახევარი აშკარად ჩააფლავა და ძალიან ბევრი იოლი სროლა გააფუჭა. „ლეიკერსმა“ მაშინვე ისარგებლა მეტოქის ყველაზე საშიში მოთამაშის უხეირობით. რომ შეატყვეს, მიზანი გაუმრუდდაო, სტუმრებმა მასპინძლები აიძულეს, პასები სწორედ დანკანისთვის მიეწოდებინათ, აქ კი დაბალი ლოსანჯელესელები უსაფრდებოდნენ და ბურთსართმევდნენ — დანკანმა თამაშში ექვსჯერ დაკარგა ბურთი.

მესამე მეოთხედში მსაჯმა ბობ დილანიმ არბიტრებთან კამათისთვის სტუმრებს მწვრთნელი ფილ ჯექსონი გაუძევა, თუმც ამან „ლეიკერსზე“ მხოლოდ დადებითად იმოქმედა და უფრო მონდომებით ეკვეთა „სფურზს“.

„ლეიკერსმა“ ბოლო მეოთხედის შუაწელს შეძლო პირველად დაწინაურება. ბევრი გაფუჭებული სროლის შემდეგ დანკანმა, როგორც იქნა, ჩააგდო და ლიდერობა „სან ანტონიოს“ დაუბრუნა — 76:75, მაგრამ შემდეგ მასინძლებმა უპირატესობა მეტოქეს გადაულოცეს. „ლეიკერსმაც“ ბოლო ხუთწუთეული 13:5 მოიგო და საკუთარ თავს შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა.

ახლა მომდევნო ორი მატჩი ლოს ანჯელესში გაიმართება. ბოლოს და ბოლოს, მოახერხებს თუ არა ვინმე ჩემპიონთა დაჩოქებას? „თუ სანახევროდ მაინც გავაკეთეთ ის, რაც ვიცით, ვერავინ მოგვიგებს, სანახევროდ კი ჩვენ არაფერს ვაკეთებთ“ — ეს შაკილ ონილის სიტყვებია. იგი შესანიშნავი განწყობით ბრუნდება ლოს ანჯელესში.

**ირაკლი ფირცხალავა**

საფრანგეთი

# მოულოდნელობა სენსაციის მოლოდინში

| პლეი ოფი | |
|---|---|
| მეოთხედფინალი (ორ მოგებამდე) | |
| ვილერბანი | 1 |
| რასინგი | 0 |
| **ვილერბანი 102:75 რასინგი** | |
| სტრასბური | 1 |
| დიჟონი | 0 |
| **სტრასბური 86:72 დიჟონი** | |
| პო ორტეზი | 0 |
| შალონი | 1 |
| **პო ორტეზი 80:89 შალონი** | |
| ლე მანი | 1 |
| ნანსი | 0 |
| **ლე მანი 106:94 ნანსი** | |

**გასულ** უქმეებზე საფრანგეთის ჩემპიონატის დასკვნითი ფაზა დაიწყო. მეოთხედფინალებში საუკეთესოს გამოსავლენად ორ მოგებამდეა თამაში. ახლა მეოთხედფინალების პირველ მატჩებზე მოგითხრობთ.

რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა „ვილერბანმა“ ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხი წააგო და თითქოს კრიზისიც დაეწყო, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა საქმე. შაბათ საღამოს „მწვანეებმა“ დაამტკიცეს, რომ ეს მხოლოდ დასვენების მიზნით დროებით მოშვება იყო და საკუთარ „ასტრობალში“ პარიზული „რასინგი“ გაანადგურეს.

მასპინძლები მთელი შეხვედრის მანძილზე ფლობდნენ უპირატესობას და უკვე პირველ მეოთხედში მოუღეს მოწინააღმდეგეს ბოლო. ისინი დაცვაში მეტად აგრესიულად თამაშობდნენ, თავდასხმაში კი ბონატოს (26 ქულა), ფრიგუსა (11 ქულა) და ედვარდსის (28 ქულა) ტრიო სასწაულებს სჩადიოდა და ათ წუთში ანგარიში 34:15 იყო. პარიზელებმა გარდატეხის შეტანა სცადეს, მაგრამ ვილერბანელები მათ თამაშის ყველა კომპონენტში სჯობდნენ და, შესაბამისად, მიახლოების საშუალებაც არ მისცეს. თავად განსაჯეთ, მასპინძლებმა 12 სამქულიანი ჩააგდეს 22-დან, 43 მოხსნა და 32 პასი გააკეთეს, სტუმრების შესაბამისი მონაცემები კი 22-დან 5, 36 და 9 არის. ამიტომაც ტაიმი „ვილერბანმა“ 52:36 მოიგო. მასპინძლებს არც მეორე ნახევარში მოუდუნებიათ ყურადღება და მეოთხე მეოთხედის დასაწყისში 20-ქულიან უპირატესობასაც ფლობდნენ — 73:53. აქ კი მათი ამერიკელი ლეგიონერი ბილ ედვარდსი ერთხელაც აფეთქდა და 33-ე წუთზე ანგარიში 81:53 გახდა. ამის შემდეგღა დაასვენა გრეგ ბენიომ თავისი ძირითადის კალათბურთელები და სათადარიგოებს დაავალა, სულმლაფავი „რასინგისთვის“ ბოლო მოეღოთ. მათაც ამ უიოლესი საქმის გაკეთება არ გასჭირვებიათ.

„ვილერბანივით“ მთელი მატჩი აკონტროლებდა სიტუაციას „სტრასბური“, რომელმაც შედარებით მოკრძალებულად სძლია „დიჟონს“. ალზასელები თავიდანვე ძალიან ძლიერად თამაშობდნენ დაცვაში და მე-6 წუთისთვის 15:5 დაწინაურდნენ. დიჟონელთა რიგებში ერთადერთი ლორი „ფაფხურობდა“, ამიტომაც საწყისი მეოთხედი „სტრასბურმა“ 28:12 მოიგო. მეორე ათწუთეულში პერის მეცადინეობით სტუმრები ცოტათი გამოცოცხლდნენ, მაგრამ ანგარიშში სხვაობის საგრძნობლად შემცირება ვერ მოახერხეს — 39:27. აქედან მოყოლებული კი თამაში შედარებით გათანაბრდა და სტრასბურელებმა ზედმეტი ძალების დაუხარჯავად შეძლეს უპირატესობის საფინალო სირენამდე შენარჩუნება.

საკმაოდ იოლ გამარჯვებას მიაღწია „ლე მანმაც“, რომელიც „ნანსის“ მასპინძლობდა. შეიძლებოდა, ლოტარინგიელები უფრო დიდი ანგარიშითაც დამარცხებულიყვნენ, რადგან 36-ე წუთზე 68:92 აგებდნენ, მაგრამ ლემანელებმა მატჩის ბოლოს თავი დიდად აღარ გამოიდეს და შეხვედრა მშვიდად ჩაამთავრეს.

არადა, თამაში „ნანსიმ“ კარგად დაიწყო და მე-5 წუთზე 7 ქულითაც გავიდა წინ — 15:8. თუმცა მასპინძელთა ამერიკელი ლეგიონერი ჯექსონი (20 ქულა, აქედან 16 შესვენებამდე) აფეთქდა და ტაიმი თავისიანებს 44:36 მოაგებინა. ამ უპირატესობის გაზრდაზე ზრუნვა მეორე ნახევარში მერიგემ (17 ქულა), რომელმაც 6-დან 5 სამქულიანი ჩააგდო და კინგმა (25 ქულა) დაიწყეს და 24-ე წუთზე ანგარიში 59:41 გახდა „ლე მანის“ სასარგებლოდ. მერე კი გამარჯვება ტექნიკის საქმეღა იყო.

პატარა მოულოდნელობა მოხდა პოში, სადაც „შალონმა“ იმარჯვა. თუ იგი მეორედაც მოიგებს, მაშინ ეს სენსაციად გამოცხადდება, თუმცა მოვლენებს ნუ გავასწრებთ და პირველ მატჩს დავუბრუნდეთ. ბეარნელებმა რეგულარულ ჩემპიონატში ორჯერვე აჯობეს „შალონს“ და საერთოდაც, შინ მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგეს. ბურგუნდიელები თავიდანვე დაწინაურდნენ (15:6). ოსტროვსკის, ოუენსისა და ნორდგაარდის კარგი თამაშით მათ საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე ფაქტობრივად გაინაღდეს კიდეც მოგება — 76:58. თუ „პო ორტეზმა“ მეორე მატჩიც წააგო, მაშინ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ეს პირველი შემთხვევა იქნება, რომ პოელები მეოთხედფინალს ვერ გასცდებიან.

**გაგი გურული**

## ესპანეთი

### პლეი ოფი

მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 1 |
| ფორუმი | 0 |

ბარსელონა 115:74 ფორუმი

| | |
|---|---|
| უნიკახა | 1 |
| პამესა | 0 |

უნიკახა 77:66 პამესა

| | |
|---|---|
| ტაუ | 1 |
| ესტუდიანტესი | 0 |

ტაუ 104:82 ესტუდიანტესი

| | |
|---|---|
| რეალი | 1 |
| ფუენლაბრადა | 0 |

რეალი 87:80 ფუენლაბრადა

## იტალია

### პლეი ოფი

მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| კინდერი | 2 |
| კორდივარი | 0 |

კორდივარი 75:109 კინდერი

| | |
|---|---|
| აეროპორტი | 0 |
| ბენეტონი | 2 |

ბენეტონი 81:72 აეროპორტი

| | |
|---|---|
| სკავოლინი | 2 |
| სნაიდერო | 0 |

სნაიდერო 86:91 სკავოლინი

| | |
|---|---|
| ფორტიტუდო | 2 |
| სიენა | 0 |

სიენა 80:90 ფორტიტუდო

## საბერძნეთი

XXV ტური

არისი — პერისტერი 64:111, პაოკ — მილონი 85:65, დაფნი — აეკ 88:86, პანათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი 68:63, მაკედონიკოსი — ნიარ ისტი 109:90, პანიონიოსი — ირაკლიონი 94:80, მარუსი — ირაკლისი 94:96

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 25 | 22 | 3 | 2112:1789 | 47 |
| პერისტერი | 25 | 21 | 4 | 2064:1774 | 46 |
| ოლიმპიაკოსი | 25 | 20 | 5 | 2083:1861 | 45 |
| აეკ | 25 | 19 | 6 | 2109:1874 | 44 |
| პანიონიოსი | 25 | 15 | 10 | 2140:1965 | 40 |
| ირაკლისი | 25 | 15 | 10 | 2070:2068 | 40 |
| პაოკ | 25 | 13 | 12 | 1892:1919 | 38 |
| მარუსი | 25 | 11 | 14 | 2156:2114 | 36 |
| დაფნი | 25 | 9 | 16 | 1992:2074 | 34 |
| ირაკლიონი | 25 | 8 | 17 | 2034:2176 | 33 |
| ნიარ ისტი | 25 | 8 | 17 | 1960:2113 | 33 |
| არისი | 25 | 7 | 18 | 1889:2149 | 32 |
| მილონი | 25 | 4 | 21 | 1983:2327 | 29 |
| მაკედონიკოსი | 25 | 3 | 22 | 1921:2202 | 28 |



## პრაღის მარათონი




REUTERS

ენდრიუ სამბუმ კენიელ მეზობლებს ამბიცია ჩაუწყო

# სამბუს დღე პრაღაში
# ტანზანია გაბრწყინდება!

**რა** აქვთ საერთო მეზობლებს — კენიასა და ტანზანიას? ვიქტორიას ტბა, ერთ დღეს აფეთქებული ამერიკის საელჩოები და კანის შავი ფერი, ხოლო უპირველეს განსხვავებად, წერილის თემატიკიდან გამომდინარე, გრძელ დისტანციებზე ნაჩვენებ შედეგებს მივიჩნევთ. კენიელები სტაიერული ტრასებისა და მარათონების ბატონები არიან, ტანზანიას კი დღეს პრეტენზია თითქმის არა აქვს. არადა, 15 წლის წინ მთლად ასეც არ იყო, როგორც სამართლიანად შენიშნა ენდრიუ სამბუმ, კვირას პრაღის ვაჟთა მარათონის მომგებმა. რა დიდი განმარტება უნდა, რომ სამბუ ტანზანიელია და პრაღაში ფავორიტად არავინ თვლიდა, იქ ხომ კენიელთა ტრადიციულად ხალხმრავალი ჯგუფი იყო და ყველა თავხედს ჩაყლაპვას უპირებდა. მაგრამ გაილია 42 კილომეტრისა და 195 მეტრის მოზრდილი ნაწილი და კენიელებმა აღმოაჩინეს, რომ სამბუ მათ შორისაა და ჩამოსარჩენი პირიც არ უჩანს. ტანზანიელი გარბოდა მოულოდნელად, ფინიშთან მეტოქეებზე მეტი ძალა შერჩა, ამიტომ დასკვნითი სპრინტისას კენიელებმა პირველმა ჩამოყარეს ხელები. სამბუმ უახლოეს მდევარს 5 წამით გაუსწრო, მერე კი სიხარულისგან კინაღამ იტირა. „ამაზე მეტი რა უნდა მენატრა — თქვა გულაჩუყებულმა სამბუმ — საუცხოოდ ვირბინე და აქ მომავალ წელსაც ჩამოვალ, რომ ტიტული დავიცვა. ჩემს ქვეყანას სამძლეოსნო სახელი უნდა აღვუდგინო. ტანზანია გაბრწყინდება!“

ირბინეს ქალებმაც. აქ საწყენი საქმე შეემთხვა ჩეხ ალენა პეტერკოვას. მაყურებლის მხარდაჭერით შეგულიანებული პირველ ადგილზე გასვლას აპირებდა და ამ მიზნით მარათონამდე კარგა ხნით ადრე შეუდგა მკაცრი რეჟიმით ვარჯიშს. რეჟიმი დიეტასაც ითვალისწინებდა და პეტერკოვა ამან დაღუპა. მოვუსმინოთ: „ალიონზე ვისაუზმე, მერე კი რბენის დაწყებამდე ლუკმა არ ჩამიდია პირში. 20 კილომეტრის გალევამდე თავს კარგად ვგრძნობდი და რიგიანად გავრბოდი კიდეც, მაგრამ უცებ გიჟივით მომშივდა და რბენის ხალისი წამერთვა. მიკვირს, მესამე ადგილზეც როგორ გავედი. არადა, პირველობა მსურდა და შემეძლო“. პეტერკოვას სიტყვები კრიტიკას მნელად უძლებს. რაც უნდა ნაჭამი ყოფილიყო, კვირას იგი ვერ გაასწრებდა აწყვეტილ იტალიელს, მაურა ვიჩეკონტეს, რომელმაც ფინიში ტრასის რეკორდით გადაკვეთა და უახლოეს მდევარს 5 და იგივე პეტერკოვას 11 წუთით გაუსწრო. იტალიელი ნიუ იორკის მარათონზე სირბილსაც გეგმავს, ხოლო ედმონტონში მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩასვლას რატომღაც არ აპირებს.

**დავით გულუა**

ვაჟები. 1. ენდრიუ სამბუ (ტანზანია) 2:10,14; 2. დევიდ ნგეტიჩი (კენია) 2:10,19; 3. უილიამ კიპლაგატი (კენია) 2:10,29

ქალები. 1. მაურა ვიჩეკონტე (იტალია) 2:26,33; 2. ჟაკლინ კეროტიჩი (კენია) 2:32,01; 3. ალენა პეტერკოვა (ჩეხეთი) 2:37,07



## ასტანის სუპერტურნირი

# მეთორმეტე დაცემა
## შიროვმა კასპაროვის კომპლექსი ვერ მოიშორა

**ასტანაში,** ახალაღმოცენებულ სუპერტურნირზე, მოვლენები იდეალურად ვითარდება. მოჭადრაკეები ტურნირის ორგანიზებით კმაყოფილები არიან — კასპაროვმა მას „ბრწყინვალედ ორგანიზებული“ უწოდა — და დაუნდობლად ებრძვიან ერთმანეთს, რაც მრავალრიცხოვან საზოგადოებას ფრიად საამოდ ურჩება. 2 ტურის 6 პარტიიდან მხოლოდ ერთი დამთავრდა ყაიმით, რაც ოცი წლის წინათაც უპრეცედენტო ამბავი იყო, არამცთუ ახლა, კომპიუტერებისა და ყაიმების საუკუნეში.

პირველი ტურის ცენტრალური დაფა გარი კასპაროვსა და ალექსეი შიროვს შორის იდო. ამათ, ბოლო ხანების ტრადიციით, ერთმანეთს ხელი არ ჩამოართვეს და თამაში ისე დაიწყეს. ექსჩემპიონისა და ექსპრეტენდენტის პირადი შეხვედრების ანგარიში შიროვისთვის კატასტროფულია — 0:11 და რახან თეთრებით თამაშობდა, რიგიდან ესპანეთს წასულმა მოჭადრაკემ ანგარიშის სათავისოდ დასველება სცადა. სიცილიურ დაცვაში გამართული ბრძოლა სილამაზით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ტაქტიკური მომენტები უხვად იყო და შედეგად კასპაროვი ენდშპილში ზედმეტი პაიკით გადავიდა. ის ხედავდა მოსაგებ გაგრძელებას და მეტოქის სვლის მოლოდინში მოუთმენლად მიმოდიოდა სცენასა და მოსასვენებელ ოთახს შორის. ბოლოსკენ შიროვმა ვითომ საშამათო ქსელის გაბმა სცადა, მაგრამ ჩაეფუშა ზრახვა თუ არა, დანებდა. მერე წამოხტა და სცენას საჩქაროდ გაეცალა — 0:12 პრინციპულ პოლიტიკურ და საჭადრაკო მეტოქესთან ძნელად მოსათმენი რამ გახლავთ.

ვლადიმირ კრამნიკმა ბორის გელფანდი კლასით დაჩაგრა. იმავეს თქმა ალექსანდრ მოროზევიჩზე უფრო შეიძლება, რადგან მეტოქედ დარენ სადვაკასოვი ჰყავდა, თავისი კბილა და რეიტინგით ბევრად დაბალი ყაზახი. მოროზევიჩმა გაკვეთილი ჩაატარა: დებიუტი მოიგო, g პაიკით კლასიკურად შეუტია და შავების ბანაკი დაანგრია. მეორე ტურში მოროზევიჩს თვითონ უწევდა გამოცდის ჩაბარება, როცა პირველი წაგებით გაცოფებული შიროვის წინაშე გააწყო შავი ფიგურები. არც რუსსა და არც ესპანელს ცოტა ადრე ყაზახეთის პრეზიდენტთან სტუმრობის პატივი არ ერგოთ, ნურსულთან ნაზარბაევმა მხოლოდ კასპაროვი, კრამნიკი და სადვაკასოვი მიიღო. ჭადრაკისა და ყაზახეთის პირველ პირთა საუბარმა საუცხოო ატმოსფეროში ჩაიარა და მერე კასპაროვმა ჟურნალისტებთან აქო და აქო მასპინძელი ქვეყანა. „რუსებს ისეთი სტერეოტიპი აქვთ — თქვა მან — თითქოს ყაზახეთი პროვინციული სახელმწიფო იყოს, მე კი ასტანა ამსტერდამი მეგონა. ბევრი ლამაზი სახლი აუშენებიათ“. კრამნიკი უფრო ზომიერი იყო და ყურადღება ტურნირის შთამბეჭდავ სტარტზე გაამახვილა, ხოლო სადვაკასოვმა შენიშნა, მეორე ტურში საჭადრაკო სამეფოს პირველ კაცს ვხვდებიო. კრამნიკს გულისხმობდა. „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის“ ჩემპიონი ასტანაში ჯერჯერობით ტანკივითაა, მიდის და მიანგრევს, თუმცა აქამდე კასპაროვის რაკეტა არ მოხვედრია და დასკვნები ნაადრევია. ისე კი, მეორე ტურში კრამნიკმა სადვაკასოვსაც მიუგო და მარტოხელა ლიდერი გახდა, რადგან წინა ტურის ქულიანებიდან კასპაროვი გელფანდს ვერ მოერია, მოროზევიჩმა კი სულაც წააგო.

გელფანდი მეორე ტურში პირველივით დაღლილი არ ჩანდა და ექსჩემპიონს სიურპრიზით დახვდა — ფრანგული დაცვა გაითამაშა, რისთვისაც ბოლოს 11 წლის წინ მიუმართავს. კასპაროვი ღრმად ჩაფიქრდა და სიტუაციაში გაერკვია. მას შეეძლო მოგება, მაგრამ ცაიტნოტში არაზუსტად ითამაშა და ნახევარ ქულასღა გამორჩა. ახლა კრამნიკი კასპაროვს უსწრებს, ხოლო შიროვი და მოროზევიჩი თითო მოგება-წაგებით ცხრილის შუაში არიან. მათ პარტიაში ის მოხდა, რასაც მცოდნენი ვარაუდობდნენ, თამაში დებიუტიდანვე გაიხსნა და იყო ერთი ბათქაბუთქი დაფის მთელ ფართზე. უკვე მე-6 სვლაზე მოროზევიჩის მეფის ფრთის პაიკები გაორდნენ და რუსმა როქი მაინც იქით გააკეთა. ცენტრში ცხარე ბრძოლის შემდეგ ფიგურები დაფაზე ავანგარდულად მიმოიფანტნენ და რაიმე პოზიციური დასკვნის გაკეთება ძნელი იყო. გაცვლების შემდგომ შიროვს მეტი პაიკი დარჩა და ბოლოს დაფა სულ რომ დაცარიელდა, კლასიკური ენდშპილი შეიქმნა: შიროვის ანუ თეთრი ეტლი და პაიკი შავი ეტლის წინააღმდეგ. ამ ენდშპილზე ტომებია დაწერილი, რომლებიც შიროვს უეჭველად წაუკითხავს, ამიტომ მისმა პაიკმა მხნედ იწყო წინსვლა, რამაც 73-ე სვლაზე მოროზევიჩი აიძულა, დანებებულიყო.

**დავით გულუა**

ვითარება 2 ტურის შემდეგ

1. კრამნიკი 2; 2. კასპაროვი 1,5; 3-4. მოროზევიჩი, შიროვი 1; 5. გელფანდი 0,5; 6. სადვაკასოვი 0



## CART

## მეხუთე ეტაპი. მოტეგის (იაპონია) დიდი პრიზი

# ბრაკმა იაპონიით გახსნა

**კარტის** ჩემპიონატის მონაწილეებმა წლეულს მეორედ დატოვეს აშშ-ის ტერიტორია. მიმდინარე სეზონის 21-ეტაპიან კალენდარში შვიდი ასეთი გასვლაა დაგეგმილი.

იაპონიის ქალაქ მოტეგის ოვალი საშუალო სიგრძისაა (2,5კმ), ამასთან ახალი ავტოდრომის კვალობაზე იქ უსაფრთხოების დონე ბევრად მაღალია, რაც პირველივე წრეზე მომხდარმა შემთხვევამ დაადასტურა. რბოლა რამდენიმე წამის დაწყებული იყო, როცა დებიუტანტ ბრუნო ჟუნკეირას საჭე გაექცა და ვიდრე ტრასაზე მანქანის შეკავებას ცდილობდა, სწორედ გზის სიფართოვემ გადაარჩინა ქარავანი მასიურ ავარიას. ბრაზილიელს თითქმის ყველამ მშვიდობიანად აუარა გვერდი, მხოლოდ ერთმა — თანამემამულე კრისტიანო და მატამ ვერ ააცილა, მისი „ლოლა“ ბრუნოს „ლოლას“ წინა ბორბალს წამოედო და ორივესთვის ასპარეზობა დასაწყისშივე დასრულდა.

ტრეკზე, ცხადია, პეისკარი გამოვიდა და შეთხელებულ, 23-ბოლიდიან პელოტონს შვიდი წრე მიუძღოდა. თუმც სხვა ეტაპებისგან განსხვავებით, როცა უსაფრთხოების მანქანას ოთხ-ხუთჯერ უხდება გამოჩენა, ამჯერად საამისო აუცილებლობა სულ ორჯერ შეიქნა. მეორედ ეს ფინიშამდე ათიოდე წრით ადრე მოხდა, ჟუნკეირას თანაგუნდელის, ასევე ფორმულა 3000-დან მისული დებიუტანტის, ნიკოლა მინასიანის ბოლიდის კედელთან მიხეთქების გამო.

26 წლის ბრაზილიელმა ჰელიო კასტრონევესმა პოულიც მოიგო (კარიერაში მეექვსე) და რბოლაშიც ყველაზე დიდხანს (85 წრე) იყო წინ, რითაც ორი პრემიალური ქულა დაიმსახურა, მაგრამ შუა დისტანციაზე მაინც მოუხდა ლიდერობის დათმობა. კარგა ხანს კიდევ ერთი ბრაზილიელი, ტონი კანაანი იდგა სათავეში, ბოლოს კი შვედი კენი ბრაკი გაიჭრა წინ და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა. 35 წლის სკანდინაველისთვის, რომელიც კარტში მეორე სეზონია ასპარეზობს, ეს პირველი დიდი პრიზი გახლავთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ წლეულს ყოველ ეტაპს ახალი გამარჯვებული ჰყავს — ორჯერ მოგება ჯერ ვერავინ მოახერხა. და კიდევ: ჩემპიონატის ერთ-ერთი უხნესი პილოტი, 39 წლის მაიკლ ანდრეტი თავის 18-წლიან სახელოვან კარიერაში 274-ედ გავიდა სტარტზე და ელ ანსერის რეკორდი გააუმჯობესა. მაიკლი, კარტის 1991 წლის ჩემპიონი, კიდევ ორ მიღწევას ფლობს — ყველაზე მეტჯერ (40) გაიმარჯვა და ყველაზე მეტი წრეც (6409) ილიდერა, ხოლო 32 პოული მეორე მაჩვენებელია.

**გია ახალაძე**

რბოლის შედეგები

201 წრე — 500,5კმ

1. კენი ბრაკი (შვედეთი, ლოლა-ფორდი) 1სთ 44.48,888; 2. ჰელიო კასტრონევესი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) ჩამორჩა 3,650 წამით; 3. ტონი კანაანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 1 წრით; 4. კრისტიან ფიტიპალდი (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 1 წრით; 5. ჯიმი ვასერი (აშშ, რეინარდ-ტოიოტა) 1 წრით; 6. მასიმილიანო პაპისი (იტალია, ლოლა-ფორდი) 1 წრით; 7. ალესანდრო ძანარდი (იტალია, რეინარდ-ჰონდა) 2 წრით; 8. შინჯი ნაკანო (იაპონია, რეინარდ-ჰონდა) 2 წრით; 9. სკოტ დიქსონი (ახალი ზელანდია, რეინარდ-ტოიოტა) 3 წრით; 10. რობერტო მორენო (ბრაზილია, რეინარდ-ტოიოტა) 3 წრით; 11. მიშელ ჟურდენი (მექსიკა, ლოლა-ფორდი) 4 წრით; 12. მაურისიო გუჯელმინი (ბრაზილია, რეინარდ-ტოიოტა) 4 წრით.

საერთო ჩათვლა

1. კენი ბრაკი 49 ქულა; 2. ჰელიო კასტრონევესი 47; 3. კრისტიანო და მატა (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 40; 4. პოლ ტრეისი (კანადა, რეინარდ-ჰონდა) 40; 5. ჯიმი ვასერი 40; 6. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 30; 7. ტონი კანაანი 26; 8. სკოტ დიქსონი 24; 9. კრისტიან ფიტიპალდი 22; 10. მაიკლ ანდრეტი (აშშ, რეინარდ-ჰონდა) 20


**იყიდება**

სამოთახიანი სუფთა ბინა 2 (9), საერთო ფართი 103 კვ. მ. აბაზანა-ტუალეტი რემონტით, ბ/აირით, ბარნოვის ქ. №71

II საქ. შესასვლელი კეკელიძის ქუჩიდანაც;

**ტელ: 22-75-07, 69-52-58**



**იყიდება**

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ. მ. მიშენებით. დიღმის მასივი, IV კვარტალი, მე-19 კორპუსი, პირველი სართული. ფასი შეთანხმებით

**ტელ: 397 198, 959 032, 8 77 428283**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

# კროკო

### კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16, ფალიაშვილის ქუჩა №27) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16), მარნეულში (რუსთაველის ქუჩა №39) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### ბელგია. II დივიზიონი. პლეი-ოფი. მე-4 ტური
24 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 001 | მოლენბეკი-გეელი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 002 | ტურნჰაუტი-მონსი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

### პოლონეთი. 28-ე ტური
23 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 003 | რუხი-ზაგლებე | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 20.00 | 004 | პოლონია-გურნიკი | 1,5 | 4,0 | 4,0 |
| 20.00 | 005 | კატოვიცე-გროცლინი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 20.00 | 006 | სტომილი-ვიძევი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.00 | 007 | ოდრა-პოგონი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 20.00 | 008 | შლიონსკი-რაძიონკოვი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 20.30 | 009 | პლოცკი-ლეგია | 3,3 | 3,4 | 1,9 |
| 21.00 | 010 | ამიცა-ვისლა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ავსტრია. 36-ე ტური
24 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 011 | ადმირა-რიდი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.30 | 012 | აუსტრია-ტიროლი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.30 | 013 | ლინცერი-ბრეგენცი | 2,0 | 3,3 | 3,0 |
| 19.30 | 014 | ზალცბურგი-გრაცერი | 2,4 | 3,4 | 2,3 |
| 19.30 | 015 | შტურმი-რაპიდი | 1,65 | 3,3 | 4,2 |

### ნორვეგია. მე-8 ტური
24 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 017 | ბოდო გლიმტი-ბრინი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 21.00 | 018 | მიოლდე-ლინი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 21.00 | 019 | მოსი-სოგნდალი | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 21.00 | 020 | რუსენბორგი-ოდ გრენლანდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 21.00 | 021 | ტრომსიო-სტრომგოდსეტი | 1,55 | 3,8 | 4,7 |
| 21.00 | 022 | ვიკინგი-ლილესტრიომი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 23.05 | 023 | ბრანი-სტაბეკი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

### ფინეთი. მე-8 ტური
24 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 024 | ჰაკა-მიუპა | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.30 | 025 | ჯაზი-ჰიკ | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 20.30 | 026 | იოკერიტი-ვაასა | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 20.30 | 027 | როვანიემი-ლაჰტი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

### იტალია. თასის ფინალი. I მატჩი
24 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 028 | პარმა-ფიორენტინა | 1,8 | 3,0 | 4,2 |

### ჰოლანდია. თასის ფინალი (როტერდამში)
24 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 029 | პსვ ეინდჰოვენი-ტვენტე | 1,4 | 4,0 | 6,5 |

### დანია. თასის ფინალი
24 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 030 | აკადემისკი-სილკებორგი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

### ჩემპიონთა თასი. ფინალი (მილანში)
23 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | ბაიერნი-ვალენსია | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები
23 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 503 | ვასკუ და გამა-ბოკა ხუნიორსი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 03.30 | 504 | პალმეირასი-კრუზ ასული | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 05.30 | 505 | რივერ პლეიტი-კრუზეირო | 1,3 | 4,4 | 8,0 |

### I taimi/ძირითადი დრო
23 მაისი

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 601 | ბაიერნი-ვალენსია | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |

### ჩემპიონთა თასი. თასის აღება
23 მაისი

23.45 701 ბაიერნი ................ 1,55 ვალენსია ................ 1,9

### კალათბურთი. 1/2 ფინალი
24 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.30 | 802 | ფილადელფია-მილუოკი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### ჰოკეი. 1/2 ფინალი
24 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 903 | პიტსბურგი-ნიუ ჯერსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.


# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხუთ რგოლში

# დანაქრება ოლიმპიურად

**ათენის** ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა საოლიმპიადო მენიუ შეადგინეს. მათი ვარაუდით, 2004 წლის ოლიმპიადის დედაქალაქში ათლეტები, ოფიციალური პირები და უბრალოდ სტუმრები დაახლოებით 11,5 მილიონ ულუფას მიირთმევენ, ამისათვის კი თურმე 300 ტონა ხილ-ბოსტნეული, 85 ტონა ზღვის ნობათი და 20 ტონა კვერცხი ყოფილა საჭირო.

საკვების უმეტესი ნაწილის შთანთქმის ეპიცენტრი ოლიმპიურ სოფელში იქნება. ასპარეზობების 17 დღის განმავლობაში სოფელში დაახლოებით 17,300 სპორტსმენსა თუ ოფიციალურ პირს დააპურებენ.

გარდა ამისა, იქვე ორი კვირის მერე პარაოლიმპიელებიც დაიდებენ ბინას. მათაც ხომ სჭირდებათ კვება?

ახლა შეფ მზარეულებისა და მათ დამხმარეთა რაოდენობას აღარ იკითხავთ?

როგორც ორგანიზატორები ამბობენ, სამზარეულოს თუ სამზარეულოების ოკუპირებაში 250 შეფ მზარეული და ამდენივე დამხმარე მიიღებს მონაწილეობას. ისინი ყოველდღიურად 50 ათას ულუფას მოამზადებენ. მთლიანობაში, მზარეულებიდან დაწყებული და მომმარაგებლებით დამთავრებული, ამ საქმით 2 500 ადამიანი იქნება დაკავებული, მანამდე კი ორგანიზატორები მომმარაგებლებს ეძებენ.

არც ბუღალტერია დავიწყებიათ. ბერძნები ამბობენ, ამ პროგრამისთვის დაახლოებით 116 მილიონი აშშ დოლარი გვჭირდება. აბა, როგორ, სტუმრებს ხომ არ ვაშიმშილებთო.

# სოკ-ის სტრატეგია სპორტში გადატრიალების თავიდან აცილებაა

**გენური** ინჟინერიის განვითარებამ მრავალ სიკეთესთან ერთად შესაძლოა სპორტში რევოლუცია გამოიწვიოს. ეს სოკ-ში დიდ საფრთხედ ესახებათ. ამიტომ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თადარიგის დაჭერა განიზრახა.

სოკ-ში შიშობენ, რომ გენური ინჟინერია სუპერ ათლეტებს შექმნის. ამან შეიძლება სპორტის ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენოს. ამიტომაც ოლიმპიზმის მამები საერთაშორისო ანტიდოპინგურ სააგენტოსთან (ვადა) თანამშრომლობით 6 ივნისიდან შეუდგებიან ერთიანი ძალისხმევით შეხვედრათა სერიას, რომლის მიზანიც სპორტში „გადატრიალების" წინააღმდეგ სტრატეგიის შემუშავებაა.

„ჩვენი მიზანია მოვლენებს გავუსწროთ" — ამბობს სოკ-ის სამედიცინო კომისიის დირექტორი პატრიკ შამაში.

ექსპერტების თქმით, უპირველეს ყოვლისა, საუბარია ადამიანის დეზოქსირიბონუკლეინმჟავაში (დნმ) გარკვეული გენების შესისხლხორცებაზე. საქმე ისაა, რომ დღეს ბევრი სპორტსმენი შედეგების გასაუმჯობესებლად ნაირგვარ აბებსა და ინექციას მიმართავს. ახლო მომავალში კი ამისთვის გენეტიკური მასალის ერთი ინექციაც საკმარისი იქნება, რათა ორგანიზმმა თვეობით, შესაძლოა წლობითაც მიიღოს საჭირო ცვლილებები. მაგალითად, კუნთების მასის მომატება და სისხლის ჟანგბადით მომარაგების უნარის გაზრდა შესაძლებელია სისხლის წითელი ბურთულების ზომის გაზრდით და ამგვარად ფენომენალური გამძლეობის მიღწევა. ამასთან, სპორტულ მედიცინის დღევანდელი დონის გათვალისწინებით, ორგანიზმში ამგვარი ცვლილებების აღმოჩენა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. ამიტომ, როგორც სოკ-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა თქვა, საჭიროა ახლავე „გენეტიკური დარღვევების" გამომჟღავნების მეთოდისა თუ წესის შემუშავება და ახალი საფრთხისთვის ყოველმხრივ შეიარაღებული დახვედრა.

# ფეხმარდ აბორიგენს პოლიტიკა არ აღელვებს

**ავსტრალიელმა** სპრინტერმა კეტი ფრიმენმა, რომელმაც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე 400 მეტრზე საჩემპიონო გარბენით თვისტომი აბორიგენები გაახარა, ახლო მომავალში პოლიტიკური კარიერის გაკეთებას გამორიცხავს.

„შესაძლოა მაშინ, როდესაც ასაკი მომემატება და უფრო გავთვითცნობიერდები პოლიტიკაში, ამ საქმეს მოვკიდო კიდეც ხელი. მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ ხარ. ამჟამად მე ათლეტი ვარ. ესაა სფერო, სადაც გამოცდილება მაქვს. სპორტსმენები ისეთებად არ უნდა მივიჩნიოთ, როგორებიც ისინი არ არიან" — დისნეილენდში ახალგაზრდებისთვის ახლახან მოწყობილ ბანკეტზე განაცხადა ფრიმენმა.

საქმე ისაა, რომ ავსტრალიის მკვიდრ მოსახლეობას დიდი სურვილი აქვს, რომ პოლიტიკურ სარბიელზე პირველი აბორიგენი ოლიმპიური ჩემპიონი იხილოს. ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ოლიმპიური ცეცხლის ამგუზგუზებელი კი აცხადებს, რომ მას ამის სურვილი არა აქვს.

„ერთადერთი, რაც ოდესმე მდომებია, ეს სირბილია, პოლიტიკოსობა კი ჩემს გეგმებში არასოდეს შედიოდა" — ამბობს ფრიმენი.

საინტერესოა, რომ მწვანე კონტინენტის 19-მილიონიანი მოსახლეობის 360-ათასიან აბორიგენთა უმცირესობა ავსტრალიური საზოგადოების ყველაზე გაუნათლებელ, ულარიბეს და დასნეულებულთა რიცხვს განეკუთვნება.

სხვათა შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აბორიგენებისა და სხვა უმცირესობებისადმი ავსტრალიის ხელისუფალთა დამოკიდებულება გააკრიტიკა.

ისიც აღსანიშნავია, რომ ავსტრალიის ორი შტატის კანონმდებლობა აბორიგენთა მიმართ განსაკუთრებით დისკრიმინაციულადაა მიჩნეული.

**გიგა გურასყვილი**


**იყიდება**

ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე,

170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით,

150 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით

**ტელ: 78 28 77**








ჯო საკიკი, იარომირ იაგრი და მარიო ლემიე „ჰარტ ტროფის" მიღების იმედად არიან

# საკიკი სამზე, იაგრი ორზე, ლემიე ერთზე

## ვინ რას დაიჭერს საბოლოოდ?

**14 ივნისს,** ანუ პლეი ოფის დასრულებისთანავე, ნჰლ ტრადიციისამებრ დაასახელებს ინდივიდუალური პრიზების მფლობელთა ვინაობას. ამასობაში კი „ტროფების" მაძიებლებმა უკვე შეადგინეს ფინალური სამეულები.

თავიდანვე ვიტყვით, რომ ყველაზე პრესტიჟული „ჰარტ ტროფის" (ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშის პრიზი) ერთ-ერთი კანდიდატი მარიო ლემიეა. მართალია, მან მხოლოდ ნახევარი სეზონი ჩაატარა, მაგრამ თუ როგორ ითამაშა, ყველას კარგად გვახსოვს. ვფიქრობთ, მარიო ყველაზე მეტად იმსახურებს ამ ჯილდოს. სამნახევარი წლის შემდეგ ჰოკეიში დაბრუნება ისედაც გმირობის ტოლფასია და საერთოდ, დღესდღეობით რომ პიტსბურგი თასისთვის იბრძვის, სწორედ ლემიეს დამსახურებაა. ყოველივე ამასთან ციფრები რა სახსენებელია, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ ჰოკეისტმა 43 მატჩში 76 (35+41) ქულა დააგროვა და ბომბარდირთა პირველ ორმოცეულში შევიდა. სუპერმარიოს თუნდაც იმიტომ უნდა მიაკუთვნონ „ჰარტი", რომ მისი ორი კონკურენტი ხელცარიელი ისედაც არ დარჩება. ლემიეს თანაკლუბელი იაგრი, მეხუთედ კარიერაში, „არტ როს ტროფის" დაეუფლება, როგორც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი — 121 (52+69) ქულა. კოლორადოს ლიდერი ჯო საკიკი კი უნიკალური ჰეთ თრიქის ავტორი გახდა. გარდა „ჰარტ ტროფისა", იგი „ლედი ბინგ ტროფისა" (ყველაზე კორექტული და ჯენტლმენი მოთამაშე) და „ფრენკ სელკე ტროფის" (დაცვაში ყველაზე მარჯვე ფორვარდი) პრეტენდენტიცაა. და ეს ბოლო პრიზი შეიძლება მოიპოვოს ჰოკეისტმა, რომელიც ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილზე გავიდა.

რადგან ამ ორ ჯილდოზე ჩამოვარდა სიტყვა, დანარჩენ კანდიდატებსაც დავასახელებთ. საკიკზე უფრო ჯენტლმენი მოთამაშეები რომ არიან, ამის დამტკიცებას დეტროიტელი ნიკლას ლიდსტრიომი და ვაშინგტონელი ადამ ოუთსი შეეცდებიან. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქელი უკვე მეხუთედ ხდება „ლედი ბინგის" მაძიებელი, თუმც ჯერჯერობით ვერც ერთხელ მოუპოვებია იგი.

„ფრენკ სელკეზე" კი პრეტენზიას ნიუჯერსელი ჯონ მედენი და დალასელი მაიკ მოდანოც აცხადებენ.

პირველად ბოლო წლების განმავლობაში ლიგამ ტრადიციას უღალატა და ნომინირებულ მცველთა ღვაწლი ჩემპიონატში მათ მიერ დაგროვილი ქულების მიხედვით არ შეაფასა. მართალია, ერთი კანდიდატი, დეტროიტელი ნიკლას ლიდსტრიომი, თავის ამპლუის ჰოკეისტთა შორის საუკეთესო იყო 71 (13+88) ქულით, მაგრამ, სამაგიეროდ, დანარჩენმა ორმა პირდაპირი ანუ მცველის ფუნქციების მარჯვე შესრულებით მიიპყრო ყურადღება.

სახელოვანი რეი ბურკი თავისი ბრწყინვალე კარიერის დასასრულსაც კი საიმედო და შეუდარებელი გახლავთ და ეს მისთვის მე-15 ნომინირება იქნება. აქედან ხუთჯერ კოლორადოელი პრიზს დაეუფლა. მესამე პრეტენდენტმა, ნიუჯერსელმა სკოტ სტივენსმა სეზონში სულ 31 (9+22) ქულა მიითვალა, მაგრამ 37 წლის ასაკშიც კი ჩამშლელი მცველის ეტალონად რჩება.

„ვეზინა ტროფის" სამი მეკარე ეცილება ერთმანეთს — ბუფალოელი დომინიკ ჰაშეკი, ნიუჯერსელი მარტინ ბროდო და ლიგის ახალწვეული რომან ჩეხმანეკი. ჩეხი გოლკიპერი, რომელსაც მხოლოდ 30 წლისას ჰქონდა ლიგაში დებიუტი, პირველივე სეზონში იქცა ფილადელფიის საყრდენ ძალად. მან 59 შეხვედრა" 10 შათაუტი შეასრულა და ჰაშეკს მხოლოდ ერთით ჩამორჩა, ხოლო საშუალოდ მატჩში გაშვებული შაიბების რაოდენობით (2,01) ყველას აჯობა. ვფიქრობთ, სამივეს თანაბარი შანსი აქვს, თუმც ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჰაშეკს „ვეზინა ტროფი" ხუთჯერ მოუგია, აქედან ორჯერ სწორედ ბროდოს გადაუღობა გზა.

დასანანია, რომ ხანდაზმული ჩეხმანეკი ახალბედთათვის განკუთვნილი „კოლდერ ტროფისთვის" ვერ იბრძოლებს, რადგან პრეტენდენტთა ასაკი 26 წლამდეა განსაზღვრული. სამაგიეროდ, ამის უფლება აქვს სანხოსელ ევგენი ნაბოკოვს. 25 წლის გოლკიპერი გუნდის პირველი ნომერი გახდა და არც პლეი ოფში შეირცხვინა თავი. 20 წლის ოტაველ ფორვარდს, მარტინ ჰავლატსა და 21 წლის ტამპელ ბრედ რიჩარდსსაც შეუძლიათ, თანატოლთა შორის რჩეულნი გახდნენ. ამ უკანასკნელმა სეზონში მოგროვებული 62 (21+41) ქულით ყველა დებიუტანტს გაუსწრო და პირველი ტამპელია, ვინც პრიზზე წარადგინეს.

კიდევ ერთ ჯილდოს, „ჯეკ ადამს ავარდს", სამი მწვრთნელიდან ერთ-ერთი დაისაკუთრებს. ოტაველმა ჟაკ მარტენმა ოდესღაც მაჩანჩალა „სენატორები" დისციპლინირებულ და კარგად შეკრულ გუნდად აქცია, ფილადელფიელმა ბილ ბარბერმა კი „მფრინავებს" ლინდროსისა და ლეკლერის არყოფნა არ დაატყო და პირველობის ბოლო ეტაპამდე აღმოსავლეთის ლიდერ ნიუ ჯერსის კონფერენციის პირველობას ეცილებოდა. თუმცა, ალბათ, უფრო სამართლიანი იქნება, თუ „ჯეკ ადამსით" ხელში უხუცეს სკოტი ბოუმენს ვიხილავთ. დეტროიტელთა 67 წლის თავკაცმა მის შექმნილ გუნდს კიდევ ერთი შთამბეჭდავი სეზონი ჩაატარებინა. მართალია, პლეი ოფში „წითელფრთიანებმა" კრახი განიცადეს, მაგრამ პრიზებს ხომ რეგულარული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით არიგებენ.

**NHL.** სტენლის თასი. კონფერენციის ფინალი (ოთხ მოგებამდე)

# კოლორადო ფინალშია

21 მაისი

| დასავლეთი | |
|---|---|
| კოლორადო | 4 |
| სენტ ლუისი | 1 |

**კოლორადო 2:1 სენტ ლუისი (0:0 1:1 0:0 1:0)**

**1:0 ჰეიდუკი 32(7), 1:1 სალვადორი 34(2), 2:1 საკიკი 61(9)**

სენტ ლუისის თავკაცი ჟოელ კენევილი ახლა იქნებ ნანობს კიდეც კარში თავიდანვე ბრენტ ჯონსონი რომ არ დააყენა და რომან ტურეკს ენდო. ეს, ალბათ, უფრო გაამწვავებდა ბრძოლას და სერიის ბედიც ხუთი მატჩის შემდეგ არ გადაწყდებოდა. თუმცა ყველაფერი მანამდე პირველ ოთხ შეხვედრაში გაირკვა და იმიტომ, რომ ჩეხმა მეკარემ საბედისწერო შეცდომები დაუშვა, მისი გამოცდილი მეტოქე-კოლეგა პატრიკ რუა კი შეუდარებელი იყო. კენევილი გვიან მიხვდა ამას და ტურეკი ჯონსონით მხოლოდ მეხუთე მატჩში შეცვალა. ახალბედამ ბრწყინვალედ ითამაშა, 34 დარტყმა მოიგერია და იგი რომ არა, არც ოვერტაიმი იქნებოდა, არც ასეთი შეუპოვარი პაექრობა.

როცა პირველი პერიოდი 0:0 დასრულდა, ბევრმა ალბათ იფიქრა, რომ ეს უფრო სტუმრებს აძლევდა ხელს. მართლაც, წინა ოთხ შეხვედრაში კოლორადომ უკლებლივ ყველა პირველი პერიოდი საერთო ანგარიშით 7:1 მოიგო. მართალია, ამჯერადაც მოახერხა შაიბის კარში გაგზავნა, მაგრამ ეს წესის დარღვევით გააკეთა. უკვე ჯონსონიც უძლური იყო, როცა კრის დრურის დარტყმული შაიბა კარის ხაზს კვეთდა, მაგრამ ზედახორაში ვილე ნიემინენი რატომღაც ხელით შეეხო მას და გოლი არ ჩაითვალა.

მეორე პერიოდში კოლორადომ კიდევ უფრო უმატა ტემპს და სენტ ლუისის დაცვა მთელი დატვირთვით ამუშავდა. სტუმრებმა სამჯერ მხოლოდ წესის დარღვევის ფასად შეაჩერეს „ეველანშის" შეტევები, მესამე ჯარიმა კი საბედისწერო გამოდგა. მასპინძელთა რიცხვმრავლობის ბრიგადამ ჯო საკიკის მეთაურობით სამი სახიფათო მომენტი შექმნა და საბოლოოდ მილან ჰეიდუკმა ახლო მანძილიდან ოსტატურად დაარტყა. სენტლუისელთა საბედნიეროდ, მათ სწრაფად შეძლეს გოლის გაქვითვა — სტუმართაგან საუკეთესო კორი სტილმანისა და სკოტ მელანბის კომბინაციის შემდეგ ბრაის სალვადორმა შაიბა პირდაპირ ცხრიანში გაგზავნა.

მესამე მესამედში სურათი არ შეცვლილა. კოლორადო ისევ სახიფათოდ უტევდა და ჯონსონს საქმე თანდათან ემატებოდა. ერთხელ, როცა გუნდები ოთხი-ოთხზე თამაშობდნენ, მეკარემ ზედიზედ ორჯერ მასთან პირისპირ გასულ რეი ბურკსა და რობ ბლეიკს მოუგო დუელი. სენტ ლუისს ერთადერთი, მაგრამ ძალიან კარგი შანსი მაშინ ჰქონდა, როცა პავოლ დემიტრა ლამის ერთი მეტრიდან დაემუქრა მეტოქის კარს, მაგრამ რუა ხომ უდიდესი ოსტატია. ძირითადი დროის მიწურულს კი „ბლუზმენები" ალექსანდრ ხავანოვმა დაალალატა, რომელმაც ყვანჯის სახიფათო მოქნევის გამო 4-წუთიანი ჯარიმა მიიღო. დარჩენილ ორ წუთში „ეველანშს" არაფერი გამოუვიდა, მაგრამ როგორც კი ოვერტაიმი დაიწყო, ჯო საკიკმა რობ ბლეიკის დარტყმის შემდეგ ყველას დაასწრო და საბოლოო წერტილი დასვა.

**სამველ ლარიბიანი**

## ველორბოლა

### ჯირო დ' იტალია

# ზაბელის დუბლიორი მთავარ როლში

## დამტვრეული კასაგრანდე ჯიროს ტელევიზიით ადევნებს თვალს

ორშაბათს „ჯიროს" მეორე ეტაპი გაიმართა. სტარტზე 179 მრბოლი გამოვიდა. პელოტონს მხოლოდ ერთი კაცი აკლდა — ფრანჩესკო კასაგრანდე. ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის კლასიფიკაციაში პირველ საფეხურზე მყოფი სპორტსმენი პირველი ეტაპისას წაიქცა და მარჯვენა ხელი რამდენიმე ადგილას მოიტეხა. „ის ჩვენი გუნდის ლიდერი „ტურ დე ფრანსზე" იქნება" — „კასას" დამშვიდება სცადა მისმა სპორტულმა დირექტორმა ჯანკარლო ფერეტიმ.

ხოლო სანამ ივლისი მოვა, „ფასა ბორტოლოს" წევრი მშობლიურ ტოსკანაში წავიდა მოსარჩენად, დასასვენებლად და ფორმის აღსადგენად. მან მეორე ეტაპს ტელევიზიით ადევნა თვალი და ასე მოიქცევა „ჯიროს" დანარჩენ ეტაპებზეც.

პელოტონს მხოლოდ 12 კილომეტრი ჰქონდა გავლილი, როცა დენის ლუნგიმ (იტალია), რუბენს მარინმა (კოლუმბია), გლენ დოლანდერმა (ბელგია) და პიეტრო კაუკიოლიმ (იტალია) დღის პირველი სერიოზული შეტევა წამოიწყეს. კაუკიოლი საერთო ჩათვლაში საუკეთესო პოზიციაზე იყო (+1 წთ 52 წმ) და რამდენიმე საათის განმავლობაში ვარდისფერ მაისურაზეც შეეძლო ეოცნება. ოთხეული ხომ ერთი ხანობა პელოტონს 5 წუთამდე უგებდა.

თუმცა ფინიშამდე დაახლოებით 60 კილომეტრით ადრე პეპლების თანაგუნდელებს თავ-თავიანთმა სპორტულმა დირექტორებმა, ეტყობა, უბრძანეს, გააქტიურდითო და მათაც მსწრაფლ გაზარდეს ტემპი. მარიო ჩიპოლინის „საეკომ" და ივან კარანტას „ალექსიამ" სამუშაოს ძირითადი ნაწილი შეასრულეს და 35 კილომეტრის მერე კვარტეტსაც დაეწივნენ.

შემდეგ პელოტონს ლუჩერას მიდამოებში ათკილომეტრიანი წრე ორჯერ უნდა გაევლო. ფინიშის სწორის წინ ერთი საშინელი მოსახვევი იყო, ლამის 180 გრადუსიანი, რომლის მიახლოებისასაც მრბოლებს უსაფრთხოების მიზნით სიჩქარე მკვეთრად უნდა დაეგდოთ.

ისინი ორჯერვე ასეც მოიქცნენ, მაგრამ წაქცევას მაინც ვერ გადაურჩნენ. პირველად ფრანგული „ბონჟურის" სპრინტერი მიკაელ პიშონი დაენარცხა ასფალტს, რამდენიმე კილომეტრით გვიან კი უკვე ჯგუფური წაქცევა მოხდა. ამ ჯგუფში იყო საერთო ჩათვლის ლიდერი ბელგიელი რიკ ვერბრიუგეც, რომელმაც ვარდისფერი მაისურა ბეწვზე შეინარჩუნა.



REUTERS ფოტო

დანილო ჰონდო ფინიშზე

რაც შეეხება ფინალურ სპრინტს, იგი ძალიან ადრე წამოიწყო ესპანელმა რაფაელ მატეოს პერესმა, რომელსაც მხოლოდ უკანასკნელ მეტრზე წამოეწივნენ და გამარჯვება, ჩვეულებისამებრ ერიკ ზაბელის შემცვლელ, დანილო ჰონდოს დარჩა. წმინდა წყლის პეპლებმა კი ამ სპრინტში იმიტომ ვერ გამოიჩინეს თავი, რომ ფინიში ოდნავ აღმართში იყო მოწყობილი.

ჰონდოსთვის ეს კარიერის 27-ე წარმატება იყო. იგი „ჯიროზე" პირველად მონაწილეობს და შესაბამისად, ეს პირველი ჯიროული გამარჯვებაა.

27 წლის მრბოლი 1980 და 1988 წლების ოლიმპიადების ჩემპიონის, ლუტც ჰესლიხის მშობლიურ ქალაქ კოტბუსიდანაა და „ტელეკომში" 1999 წელს გადავიდა.

ჰონდო 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარა ტრეკზე გუნდურ გამოდევნებაში. გზატკეცილზე მან 1997 წელს დაიწყო ასპარეზობა და მეორე დივიზიონის გუნდ „აგრო ადლერის" ღირსებას იცავდა მანამ, სანამ ორი წლის წინ ოლაფ ლუდვიგის მიწვევით „ტელეკომში" არ აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ 1997 წლის შემდეგ „ჯიროს" ეტაპი გერმანელს აღარ მოუგია, მაშინ კი ეს მარსელ ვუსტმა შეძლო.

**გაგი გურული**

| მეორე ეტაპი |
|---|
| ფოსაჩეზია — ლუჩერა, 163 კმ |
| 1. დანილო ჰონდო (გერმანია, ტელეკომი) 3სთ 39წთ 35წმ |
| 2. რაფაელ მატეოს პერესი (ესპანეთი, კოლპაკი) |
| 3. გაბრიელე მისალია (იტალია, ლამპრე) |
| 4. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო) |
| 5. მასიმო სტრაძერი (იტალია, მობილვეტა) ყველას იგივე დრო |

| საერთო ჩათვლა |
|---|
| 1. რიკ ვერბრიუგე (ბელგია, ლოტო) 9სთ 02წთ 25წმ |
| 2. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) +9 |
| 3. იან შრუსკა (ჩეხეთი, ონსე) +13 |
| 4. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) +15 |
| 5. გაბრიელე კოლომბო (იტალია, კანტინა ტოლო) +18 |


ზუსტად ოცი წელიწადი გავიდა იმ დღიდან, როცა თბილისის „დინამომ" ითამაშა თავისი ერთადერთი ევროპული ფინალი... 1981 წლის 13 მაისის



დარი თარიღი ბევრი არ არის გასული საუკუნის არათუ სპორტის, არამედ მთლიანად ქვეყნის ისტორიაში... იგონებს ოცი წლის წინანდელი თბილისის „დინამო". უკეთესად ვერც მოიგონებს ვინმე!

ფასი მხოლოდ 1 ლარი


# კანონი კანონია?

## ტოტო-ლოტო გაჩერდა

**ვაკე-საბურთალოს** გამგეობის შენობაში ათამდე ჟურნალისტმა „ტოტო-ლოტოს" სტუდიაში მოვიყარეთ თავი, სადაც შპს „საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის" გენერალურმა დირექტორმა რევაზ აიწურაძემ პრესკონფერენციაზე გვიხმო. მაგიდაზე ელაგა დოკუმენტაცია: საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერილი კანონი „ლატარიისა და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობაზე მომსახურების მიზნობრივი მოსაკრებლის შესახებ", აიწურაძის ხელმოწერილი პრეს-რელიზი და სტატისტიკური მასალა, რომელიც ცხადყოფდა, რომ ზემორე ბრძანებამ „ტოტო-ლოტოს", იგივე სპორტული ლატარიის ფუნქციონირებას აზრი დაუკარგა.

საქმის არსი შემდეგშია: პრეზიდენტის 16 მარტის ბრძანებით, ლატარიაზე დაწესებულ გადასახადებს ერთიც ახალი (ბილეთებიდან შემოსავლის 25 პროცენტი) დაემატა და გადასახადის საერთო ნიშნულმა 95 პროცენტს უწია, რასაც ვერც ერთი მეწარმე ვერ გადაიხდის, ამიტომ „ტოტო ლოტო" ამჯერად აღარ მუშაობს. 25 კაცი უმუშევარი დარჩა.

აიწურაძეს ვითარების გარკვევა ბევრგან უცდია. პარლამენტის საგადასახადო შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე ვიტალი ხაზარაძეს ცივად მიუღია, კანონპროექტი ზურაბ ნოღაიდელმა (ფინანსთა მინისტრი) შემოიტანა და ჩვენ წერტილ-მძიმეც არ შეგვიცვლია, ისე გავუგზავნეთ შემდგომ ინსტანციასო. საგადასახადო შემოსავლების დეპარტამენტში კი ასე უთქვამთ: „თქვენ ცამდე მართალი ხართ, მაგრამ..." ბოლოს აიწურაძემ და კახი ასათიანმა პრეზიდენტს მისწერეს და დამაიმედებელი რეზოლუცია მხოლოდ იქიდან მიიღეს, დაახლოებით ასეთი: „ნოღაიდელმა ამ ამბავს ყურადღება მიაქციოს და პირადად ასათიანს შეხვდეს".

„ჩვენ ცივილიზებული მეთოდებით ჩამოყალიბებული კანონპროექტი გვაქვს პარლამენტისთვის — თქვა აიწურაძემ — მას ახლა მრეწველთა ფრაქცია ამუშავებს და ალბათ განხილვისთვის გაიტანს". ხოლო კითხვაზე, თუ რას აპირებს, აიწურაძემ გვიპასუხა, ბოლო ხომა საკონსტიტუციო სასამართლოში ჩივილი იქნებაო.

**დავით გულუა**

# მარკო პოლოს ნაკვალევზე

**„მარკო პოლო 2001"** — ასე ეწოდება „მშვიდობის ხიდის" ეგიდით დაწყებულ და ხალხთა შორის მეგობრობისა და სოლიდარობისადმი მიძღვნილ ველოგარბენს, რომელიც ამა წლის 25 აპრილს დაიწყო იტალიურ ვენეციაში და ჩინეთის დედაქალაქ პეკინში უნდა დასრულდეს.

ალბათ მიხვდით, ველოგარბენის მარშრუტი იგივეა, რაც შვიდი საუკუნის წინ ცნობილ მოგზაურს მარკო პოლოს გაუვლია. რვა საკმაოდ ასაკოვანი ველორბოლის და მოგზაურობის მოყვარული იტალიელი 100 დღეში აპირებს 12 ათასი კილომეტრის დაფარვას. იტალია, სლოვენია, ხორვატია, იუგოსლავია, ბულგარეთი, თურქეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, ჩინეთი — გზად ამ ქვეყნებში გაივლის ექსპედიცია.

19 მაისს იტალიელმა მოგზაურებმა საქართველოს საზღვარი გადმოლახეს, მცირედ შეისვენეს ბათუმში, სამტრედიასა და ხაშურში. შემდეგ თბილისისკენ გამოუტიეს.

სამტრედიიდან გამოსულ მოგაზურებს ქუთაისში, ქალაქის შესასვლელთან, ველოსპორტსმენთა ჯგუფი შეეგება, მერე იტალიელები რამდენიმე წუთით ქალაქის ცენტრში დავით აღმაშენებლის ძეგლთან შეყოვნდნენ, სამახსოვრო საჩუქრებისთვის მადლობა გადაიხადეს, დამხვდურებთან ერთად ფოტოები გადაიღეს და ისე გზას შეუდგნენ.

მარკო პოლოს მიმდევარნი თბილისიდან აზერბაიჯანულ ყაზახში გაემგზავრნენ.

**იუზა ჭაციტაძე ქუთაისიდან**



მაყვალა დარჩიას ფოტო

ველოგარბენის მონაწილენი ქუთაისის შესასვლელთან


იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29





REUTERS მონტე კარლოდან

# აი, ირინა

კიევში ქალთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა ბოდიბილდინგში. ჩემპიონი მასპინძელი, ირინა პეტრენკო გახდა. შეხედეთ ირინა პეტრენკოს და მიბაძეთ. კაცებმა, რა თქმა უნდა.



REUTERS კიევიდან



REUTERS მონტე კარლოდან

# ნაცნობები მონტე კარლოში

მონტე კარლოს „ბიჩ კლუბ ოტელში" იქ განთქმული და ყოველწლიური „ლორუს" სპორტული ჯილდოების გადაცემის ცერემონიალი გაიმართა. ბევრი ნაცნობი სახე გამოჩნდა და ბევრიც უცნობი. ამერიკელ ჩოგბურთელ ჯენიფერ კაპრიატის მაგანი უცნობი ჯეელი ახლდა, ფორმულელ მრბოლ ჯენსონ ბატონს კი ფართო საზოგადოებისთვის ასევე უცნობი გელფრენდი ლუიზ გრიფითსი. ავსტრალიელ სპრინტერ კეტი ფრიმენს არავინაც არ ახლდა, თუმცა არც მოუწყენია — გვარიანად იქაქანა.

# ტორპი მულენ რუჟში



REUTERS სიდნეიდან

სიდნეიში პრემიერაა, ამასწინათ კანში ნაჩვენები ამერიკული ფილმი „მულენ რუჟი" უფრო ავსტრალიურია, ვიდრე ამერიკული. მთავარ როლს სიდნეელი ნიკოლ კიდმანი ასრულებს, რეჟისორიც მისი თანამემამულე ბაზ ლურმანია. ეგ არის, ფილმი გასული საუკუნის პარიზის ბოჰემურ ცხოვრებას აღწერს. პრემიერაზე კი ვხედავთ უგანთქმულეს ავსტრალიელ მოცურავეს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ იან ტორპს, რა თქმა უნდა, ჩვენთვის უცნობ ქალიშვილთან ერთად.

# გოგო გამოვარდა

ინგლისში თუ მწვანე მინდორზე ვინმე გადმოხტა, აუცილებლად შიშველი უნდა იყოს. ლორდსის მინდორზე კრიკეტია გახურებული, მაგან გოგოს კი შიშვლად განავარდება მოსწყურებია. თუმც, ინგლისელ მოკრიკეტეებს ამის ჯავრი არა აქვთ, მათ კაპიტანს, ნასერ ჰუსეინს ცერი ულრძვია და სადარდებელი ეს უფროა.



REUTERS ლონდონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge